დანართი №2

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
მევენახეობა და ენოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

10-11-12.06.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი

21.07.2026

თბილისი

სარჩევი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5
III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 23
IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 25
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 25
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 51
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 68
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 76
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 104

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205224700**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვალერიუ კაისინი (თავმჯდომარე) - განათლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტო (ANACEC), მოლდოვა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლაშა ბოდაველი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მანუჩარ მესხიძე – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	აკაკი ჩალათაშვილი – არასამთავრობო ორგანიზაცია ''ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი''
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, არასამეწარმეო იურიდიული პირის ,,ვებსტერის უნივერსიტეტის საქართველოს ფილიალი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	შალვა მხეიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	**პროგრამა 2**	**პროგრამა 3**	**პროგრამა 4**	**პროგრამა 5**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	სატყეო საქმე	მევენახეობა და ენოლოგია	სატყეო საქმე	მევენახეობა და მეღვინეობა	მევენახეობა და ენოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Forestry	Viticulture and Enology	Forestry	Viticulture and Enology	Viticulture and Enology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სატყეო საქმის ბაკალავრი	მევენახეობისა და მეღვინეობის ბაკალავრი	სატყეო საქმის მაგისტრი	მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი	მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სატყეო საქმე 0821	ინტერდისციპლინური 0888	სატყეო საქმე 0821	ინტერდისციპლინური 0888	ინტერდისციპლინური 0888
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება					
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	193	183	120	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) **შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)**	ახალი	ახალი	ახალი	ახალი	ახალი

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სსიპ), თბილისი, საქართველო

კლასტერი აერთიანებს ხუთ ახალ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებსაც ახორციელებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ტექნოლოგიისა და ფარმაციის ფაკულტეტი და მოიცავს ორ ურთიერთდაკავშირებულ სწავლის სფეროს — მეტყევეობასა და მევენახეობა-მეღვინეობას, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საფეხურზე. არცერთი პროგრამა აქამდე არ ყოფილა აკრედიტებული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ხუთივე პროგრამა არის ახალი.

პროგრამების განხორციელების ადგილი (ყველა პროგრამა)

- პოლიტკოვსკაიას ქ.26, 0186, თბილისი, საქართველო
- გურამიშვილის გამზირი, სასწავლო კორპუსი №11 17, 0192, თბილისი, საქართველო

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

კლასტერში გაერთიანებულია სსუ-ის ხუთი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა: სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამა (193 ECTS), მევენახეობა - ენოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (183 ECTS), სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა (120 ECTS), მევენახეობა - მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა (120 ECTS) და მევენახეობა - ენოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა (120 ECTS).

პროგრამები შემუშავდა დარგობრივი მახასიათებლის, შრომის ბაზრის ანალიზისა და დაინტერესებულ მხარეების (აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებლები) ფართო ჩართულობის საფუძველზე. ისინი შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დადგენილი კრედიტების ზღვრულ რაოდენობას.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 10–12 ივნისს, სამი დღის განმავლობაში, შერეული (ჰიბრიდული) ფორმატით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვიზიტში ჩაერთო ონლაინ, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ ადგილზე.

პირველ დღეს შეხვედრები გაიმართა ადმინისტრაციულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, მევენახეობა-ენოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, მევენახეობა-ენოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან და მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან.

მეორე დღეს შეხვედრები გაიმართა სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან, საბაკალავრო

პროგრამების სტუდენტებთან, სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან და საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებთან.

მესამე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამა კი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბაკალავრო პროგრამა - სატყეო საქმე: უზრუნველყოფს ფართო და საფუძვლიანი ცოდნის ჩამოყალიბებას ეკოსისტემების შესახებ; განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, ურბანულ და პლანტაციურ მეტყეევეობას, ტყის დაცვასა და აღდგენას. პროგრამის ძლიერი მხარეა პროქტიკული კომპონენტი, რომელიც მოიცავს 15-კრედიტიან საველე პრაქტიკასა და 5-კრედიტიან პროექტს. არჩევითი კონცენტრაციები კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტების პრაქტიკულ და პროფესიულ უნარებს.

საბაკალავრო პროგრამა - მევენახეობა & ენოლოგია: პროგრამა ავითარებს კომპეტენციებს, რომლებიც მოიცავს მევენახეობისა და მეღვინეობის სრულ ციკლს — ვენახის გაშენებიდან თანამედროვე და ინოვაციური ღვინის წარმოების ტექნოლოგიებამდე. პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას (6 ECTS) და საბაკალავრო პროექტის შესრულებას (4 ECTS).

სამაგისტრო პროგრამა - სატყეო საქმე: პროგრამა ორიენტირებულია სატყეო სფეროს ინოვაციური მართვის, დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებისა და კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებაზე. იგი მოიცავს 10-კრედიტიან საველე პრაქტიკასა და 30-კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს.

სამაგისტრო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა: პროგრამა შეისწავლის მევენახეობის დარგში განხორციელებულ მოწინავე ოპერაციებს, ღვინის წარმოების ტრადიციულ, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიებს, ასევე, ღვინის ხარისხისა და სენსორულ შეფასებას. პროგრამა ითვალისწინებს 5-კრედიტიან საველე პრაქტიკას, 6-კრედიტიან საწარმოო პრაქტიკას და 30-კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს.

სამაგისტრო პროგრამა - მევენახეობა & ენოლოგია (ინგლისურენოვანი): პროგრამა გამოირჩევა მკაფიო საერთაშორისო ორიენტაციით და მოიცავს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების გლობალური ტენდენციებს, ღვინის ხარისხის ანალიტიკურ კონტროლს, მიკრობიოლოგია/ქიმიას და ღვინის ტურიზმს; პროგრამა ითვალისწინებს 6 -კრედიტიან საველე პრაქტიკას, 5 - კრედიტიან საწარმოო პრაქტიკასა და 45 - კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს.

- **რეკომენდაციები**

კლასტერული

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოყენებული არაპირდაპირი შეფასების მტკიცებულებები (დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეგროვდეს და აისახოს, რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციები. (1.3)
- რეკომენდებულია, პერსონალმა მიიღოს საკმარისი ინფორმაცია თუ როგორ უწყობს ხელს კურსის დონის სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. (1.3)
- რეკომენდებულია, პერსონალი საკმარისად იყოს ჩართული სწავლის შედეგების სისტემატური შესაბამისობის დადგენისა და შეფასების პროცესში. (1.3)
- საგანმანათლებლო კამპუსებს შორის ტერიტორიული მანძილის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ დანერგოს საგანმანათლებლო პროცესის მართვის ეფექტური მოდელი, მათ შორის, სწავლების განრიგის დაგეგმვის სპეციალიზებული სისტემის გამოყენებით, და სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მის ხელთ არსებული რესურსები. (2.1)
- რეკომენდებულია, ოფიციალურად განისაზღვროს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის არსებული თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძველი და სათანადოდ დარეგულირდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმების გზით. (2.2)
- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს სტანდარტიზებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტმა დროულად და ინდივიდუალურად მიიღოს უკუკავშირი, ყველა კურსის შუალედურ და საბოლოო შეფასებებთან დაკავშირებით. (2.4)
- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და აკადემიური კეთილსინდისიერების მარეგულირებელ ჩარჩოში ოფიციალურად ასახოს ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც არეგულირებს

გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკურ გამოყენებას. (2.4)

- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ აამოქმედოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების ქმედითი მექანიზმი, უზრუნველყოს პრაქტიკაში მისი რეალური განხორციელება და დანიშნულებისამებრ ეფექტიანი ფუნქციონირება. (2.4)

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სისტემური მექანიზმი, რომელიც შეაფასებს პროფესიული განვითარების აქტივობების გავლენას სწავლების ხარისხზე, კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობაზე, სასწავლო გეგმის ინოვაციურ განახლებასა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე. (4.3)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტი უზრუნველყოს ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის ანგარიშითა და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერით, რათა მათ სრულად ჰქონდეთ წვდომა როგორც უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებზე, ისე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეშვეობით ხელმისაწვდომ დარგობრივ ელექტრონულ რესურსებზე. (4.4)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება ხელმისაწვდომი აკადემიური რესურსების შესახებ, რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების, მომხმარებლის გზამკვლევებისა და სხვა შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმების გამოყენებით. (4.4)

- რეკომენდებულია, გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ცნობიერება და შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობის სისტემური პროცესი. ამ მიზნით, რეკომენდებულია, დაინერგოს სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის უკეთ გააზრებას, შეფასების პროცესებში მათი როლის გაცნობიერებას და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში უფრო აქტიურ და სისტემურ ჩართულობას. (5.1)

- რეკომენდებულია, განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი სამიზნე ნიშნულები და გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგი პროგრამის დონეზე, რაც გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატურ შეფასებას, პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, მისი უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. (5.3)

საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა, რომლებიც ამჟამად მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა მოძველებულ წყაროებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კურსები „დენდრომეტრია“ (ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ 2017 წლის ერთი სალექციო ჩანაწერით, რომელსაც თან ახლავს 1955–1990 წლებით დათარიღებული წყაროები) და „ტყის ზოოლოგია“ (ძირითადი სახელმძღვანელო გამოცემულია 2001 წელს). აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ სასწავლო მასალები ასახავდეს დარგში არსებულ

თანამედროვე მიღწევებს და შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს. ამასთან, პროგრამის სხვა მონათესავე სასწავლო კურსებში (მაგ., „ნიადაგმცოდნეობა“, 2020; „ბოტანიკა“, 2024) უკვე იკვეთება უფრო თანამედროვე და განახლებული ლიტერატურის გამოყენების პოზიტიური პრაქტიკა. (1.5)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"

არ ეხება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" ინგლისურენოვანი

- რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და განაახლოს დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის ცვლილების პროცედურები და შესაბამისი წესები. (3.2)
- რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მკაფიო და სისტემური მექანიზმი. (3.2)

.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"

- რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (უსდ) შეიტანოს ცვლილებები დოკუმენტში „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რათა მასში მკაფიოდ აისახოს სტუდენტების მიერ აკადემიური ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლის პროცესის მარეგულირებელი წესები და პროცედურები.
- რეკომენდებულია, რომ უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს ფორმალური შეფასების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა" მევენახეობა და მეღვინეობა"

- რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და განაახლოს დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის ცვლილების პროცედურები და შესაბამისი წესები. (3.2)
- რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მკაფიო და სისტემური მექანიზმი. (3.2)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)

- რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და განაახლოს დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის ცვლილების პროცედურები და შესაბამისი წესები. (3.2)
- რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მკაფიო და სისტემური მექანიზმი. (3.2)
- რეკომენდებულია, ფაკულტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირების ჩამონათვალი (4.2).

- **რჩევები**

კლასტერული

- სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს პროგრამათაშორისი თანამშრომლობა, რათა ხელი შეუწყოს ინტერდისციპლინურ სწავლებას და სტუდენტთა აკადემიური თვალსაწიერის გაფართოებას. (1.1)
- სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტაციის სათანადო მომზადება და წარმოდგენილი ინფორმაციის თანმიმდევრულობა. (1.4)
- სასურველია, უსდ-მ ხუთივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის მიღების წინაპირობები გამოაქვეყნოს პროგრამების მიხედვით, მოკლე და მკაფიო ფორმატით, მათ შორის, დარგობრივი და ენობრივი მოთხოვნების მითითებით, რათა დაინტერესებულმა პირებმა მარტივად შეძლონ თითოეული პროგრამაზე დაშვების პირობების შედარება. (2.1)
- სასურველია, უსდ-მ გააგრძელოს, გააძლიეროს და დოკუმენტურად გააფორმოს თანამშრომლობა სატყეო ორგანიზაციებთან, ღვინის ქარხნებთან, ლაბორატორიებთან, საწარმოებთან და სხვა შესაბამის დამსაქმებლებთან, რათა გაფართოვდეს სტუდენტთათვის პრაქტიკის, სტაჟირების, საველე სამუშაოებისა და გამოყენებითი კვლევის შესაძლებლობები. (2.2)
- სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, უსდ-მ გააფართოოს სასწავლო საველე ვიზიტების შესაძლებლობები, ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები დარგის პროფესიონალების მონაწილეობით და დანერგოს პრაქტიკაზე ორიენტირებული მენტორობის მექანიზმები, განსაკუთრებით სატყეო საქმისა და მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამებზე. (2.2)
- სასურველია, უსდ-მ უფრო სისტემატურად გამოიყენოს ციფრული რესურსები და ონლაინ პლატფორმები სწავლების, დამოუკიდებელი სწავლისა და პრაქტიკის დოკუმენტაციის მხარდასაჭერად, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ციფრული პრაქტიკის დღიურები, ვირტუალური საველე/ვენახის მასალები და/ან ონლაინ სასწავლო რესურსები. (2.3)

- სასურველია, ყველა პროგრამაში წახალისდეს პროექტზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარებისა და რეალურ გარემოში პრობლემების გადაჭრის კომპეტენციის განვითარებას. (2.3)
- სასურველია, ფაკულტეტმა შექმნას სასწავლო პროცესის მენეჯერის/კოორდინატორის პოზიცია. (3.1)
- სასურველია, უსდ-მ სისტემურად გაზარდოს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერული მართვის სამსახურის ცნობადობა და მისი საქმიანობის ეფექტიანობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალიზებული, სტრუქტურირებული და ყველა სტუდენტისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი კარიერული მხარდაჭერის მექანიზმი. (3.1)
- სასურველია, უსდ-მ სისტემატურად მიაწოდოს ყველა სტუდენტს კორპორატიული (ინსტიტუციური) ელექტრონული ფოსტის მისამართები და სავალდებულო გახადოს, რომ ყველა აკადემიური და ადმინისტრაციული კომუნიკაცია განხორციელდეს მხოლოდ აღნიშნული ინსტიტუციური ანგარიშების გამოყენებით. (3.1)
- სასურველია, შეიქმნას კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქმედი სტუდენტებისთვის მენტორობის შესაძლებლობების შექმნასა და კარიერულ წინსვლას. (3.1)
- სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და განიხილოს გაცვლითი პროგრამების დამატებითი შესაძლებლობები. (3.1)
- პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის, სტაბილურობისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის პოტენციალი, რითაც შემცირდება დაწესებულების დამოკიდებულება ცალკეულ თანამშრომლებზე და გაძლიერდება მისი მდგრადობა პერსონალის მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. (4.1)
- სასურველია, აკადემიური პერსონალისთვის დაინერგოს ყოველწლიური განვითარების გეგმები, რომლებიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, შესაბამისი დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან და ინტერნაციონალიზაციის მიზნებთან. (4.3)
- სასურველია, კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო კვლევით პროექტებში, საგრანტო განაცხადების მომზადებასა და აკადემიური მობილობის ინიციატივებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა. (4.3)
- სასურველია, უსდ-მ კვლავ გააძლიეროს პროგრამის სპეციფიკაზე მორგებული ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი და პერიოდულად განახორციელოს ბიუჯეტის შესრულების ანალიზი პროგრამის საჭიროებებთან მიმართებით. (4.5)
- სასურველია, კიდევ უფრო სისტემური ხასიათი მიეცეს საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების გაანალიზებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარების პროცესში თანამედროვე ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებას. (5.3)

- სასურველია, დაწესებულებამ გადაამოწმოს სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურის აქტუალობა და არ დაეყრდნოს მხოლოდ შერჩევით შეფასებას, რათა დადგინდეს, ვრცელდება თუ არა წინამდებარე შეფასების შედეგად გამოვლენილი ტენდენცია (ერთი და იმავე პროგრამის სასწავლო კურსებს შორის ლიტერატურის აქტუალობის არათანაბარი ხარისხი) პროგრამის სხვა სასწავლო კურსებზეც. (1.5)

- სასურველია, შემუშავდეს მენტორობის პროგრამები, რომლებიც სტუდენტებს დააკავშირებს დარგის პროფესიონალებთან, რაც გააუმჯობესებს სწავლის პროცესს და ხელს შეუწყობს კარიერული მიმართულების განსაზღვრას. (2.2)

- სასურველია, ჩატარდეს სემინარები ტყის მართვისა და კონსერვაციის სტრატეგიების შესახებ დარგის ექსპერტების მონაწილეობით, პრაქტიკული ცოდნის გაზიარების მიზნით. (2.2)

- სასურველია, გაძლიერდეს თანამშრომლობა სატყეო სფეროს წამყვან ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას დარგის თანამედროვე საჭიროებებთან. ამის მიღწევა შესაძლებელია ლექტორების მოწვევით, ერთობლივი კვლევითი პროექტებითა და სტაჟირების შესაძლებლობებით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს უშუალოდ მიიღონ დარგში მუშაობის გამოცდილება. (2.2)

- სასურველია, წახალისდეს პროგრამის პერსონალის უფრო აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სატყეო ქსელებსა და გამოყენებით სატყეო კვლევით ინიციატივებში. (4.3)

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"

- სასურველია, გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო მევენახეობისა და მეღვინეობის ასოციაციებში და გაძლიერდეს თანამშრომლობა დარგის პარტნიორებთან, გამოყენებითი საქმიანობის მიმართულებით. (4.3)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"

- სასურველია, სასწავლო პროგრამაში ინტეგრირდეს მდგრადი განვითარების პრინციპები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკებსა და ტყეების როლზე კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში. (1.4)

- სასურველია, დაწესებულებამ სასწავლო კურსის „ტყის ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება“ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის სახით ამჟამად მითითებული Wikibooks-ის ზოგადი ბმული ჩაანაცვლოს რეცენზირებული სამეცნიერო წყაროთი ან აკადემიური სახელმძღვანელოთი, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებს. (1.5)

- სასურველია, ჩატარდეს სემინარები ტყის მართვისა და კონსერვაციის სტრატეგიების შესახებ დარგის ექსპერტების მონაწილეობით, პრაქტიკული ცოდნის გაზიარების მიზნით. (2.2)

- სასურველია, დაწესებულებამ დაამყაროს პარტნიორობა სატყეო სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისა და

რესურსების გაზიარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური გამოცდილების გამდიდრებას. (2.2)

- სასურველია, შემუშავდეს ტრენინგები (ვორქშოფები), რომლებიც მოიცავს ბუნების დაცვის სფეროში განვითარებად ტექნოლოგიებსა და მდგრადი მართვის თანამედროვე პრაქტიკებს, რათა პროგრამა შეესაბამებოდეს დარგის უახლეს მიღწევებსა და განვითარებას. (2.2)
- სასურველია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო სატყეო კვლევით პროექტებსა და ერთობლივ სამეცნიერო პუბლიკაციებში. (4.3)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და მეღვინეობა"

- სასურველია, შემუშავდეს სპეციალიზებული სასწავლო კურსი მევენახეობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ, რათა სტუდენტები უკეთ მოემზადონ დარგის სამომავლო გამოწვევებისთვის. (1.4)
- სასურველია, პროგრამაში დაინერგოს მევენახეობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის საკითხებისადმი მიძღვნილი გაღრმავებული სასწავლო მოდულები, რათა სტუდენტები უკეთ მოემზადონ დარგის სამომავლო გამოწვევებისთვის. (2.2)
- სასურველია, დაწესებულებამ დაამყაროს პარტნიორობა საერთაშორისო მეღვინეობის საწარმოებთან ერთობლივი კვლევების განხორციელებისა და პრაქტიკის შესაძლებლობების განვითარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაფართოებას. (2.2)
- სასურველია, წახალისდეს პროგრამის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა მეღვინეობისა და მევენახეობის სფეროს საერთაშორისო კვლევით კონსორციუმებში, ინდუსტრიისა და აკადემიური სფეროს ერთობლივ პროექტებსა და კონკურენტულ საგრანტო პროგრამებში. (4.3)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)

- სასურველია, დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამისთვის შეიმუშაოს და აწარმოოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დამოუკიდებელი დოკუმენტაცია, რომელიც გამიჯნული იქნება ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ შესაბამისი დოკუმენტაციისგან, იმის გათვალისწინებით, რომ თვითშეფასების ანგარიშში უკვე იდენტიფიცირებულია განსხვავებები ამ ორ პროგრამას შორის სწავლის შედეგების, კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილებისა და სამიზნე სტუდენტთა კონტინგენტის თვალსაზრისით. (1.3)
- სასურველია, დაინერგოს ციფრული პლატფორმა ვირტუალური ვენახების ტურებისა და ონლაინ ღვინის დეგუსტაციის სესიების ჩასატარებლად, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, მიიღონ დამატებითი პრაქტიკული გამოცდილება და გაეცნონ მევენახეობისა და მეღვინეობის პრაქტიკულ ასპექტებს ციფრული რესურსების გამოყენებით, აუდიტორიული სწავლებისგან დამოუკიდებლად. (1.4)

- სასურველია, შემუშავდეს ღვინის მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯმენტის ყოვლისმომცველი მოდული, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ღვინის ინდუსტრიაში საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული უნარები. (2.2)
- სასურველია, შეიქმნას სპეციალიზებული ლაბორატორია ღვინის ანალიზისა და ყურძნის კულტივაციის კვლევების მიმართულებით, რაც გაზრდის სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობებს. (2.2)
- სასურველია, კიდევ უფრო გაძლიერდეს პერსონალის ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი კვლევითი პროექტების, აკადემიური მობილობისა და უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გზით, რომლებიც ახორციელებენ მსგავსი მიმართულების პროგრამებს. (4.3)

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

- კლასტერში დაჯგუფებული ხუთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აფილირებული (მუდმივი) აკადემიური პერსონალი — პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და ასისტენტები, ასევე მოწვეული (ხელშეკრულებით) პერსონალი შესაბამისი დარგის პროფესიული და აკადემიური საზოგადოებებიდან. პროგრამების მიხედვით წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ასე ნაწილდება:

საბაკალავრო პროგრამას „სატყეო საქმე“ ახორციელებს 45 თანამშრომელი, მათ შორის: 8 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ-პროფესორი, 1 ასისტენტი და 19 მოწვეული პერსონალი;

საბაკალავრო პროგრამას „მევენახეობა და ენოლოგია“ ახორციელებს 43 თანამშრომელი, მათ შორის: 18 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ-პროფესორი და 9 მოწვეული პერსონალი;

სამაგისტრო პროგრამას „სატყეო საქმე“ — 12 თანამშრომელი, მათ შორის: 5 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 4 მოწვეული პერსონალი;

სამაგისტრო პროგრამას „მევენახეობა და მეღვინეობა“ — 7 თანამშრომელი, მათ შორის: 4 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 1 მოწვეული პერსონალი;

ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „მევენახეობა და ენოლოგია“ ხორციელდება 7 თანამშრომლის მონაწილეობით, მათ შორის: 5 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი და 1 მოწვეული პერსონალი.

- ვინაიდან სსუ-ის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიის მიხედვით პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და ასისტენტები უკვე კლასიფიცირებულნი არიან როგორც „აფილირებული“ პერსონალი, ამ კლასტერში აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა, ისევე როგორც აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე სურათს ასახავს — აფილირებული (აკადემიური) ძირითადი პერსონალის თანაფარდობას მოწვეულ (ხელშეკრულებით დასაქმებულ)

პერსონალთან. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, აფილირებული და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა საბაკალავრო პროგრამაში „სატყეო საქმე“ დაახლოებით 1.4:1-ს შეადგენს (26:19), საბაკალავრო პროგრამაში „მევენახეობა და ენოლოგია“ — 3.8:1-ს (34:9), სამაგისტრო პროგრამაში „სატყეო საქმე“ — 2:1-ს (8:4), ხოლო სამაგისტრო პროგრამებში „მევენახეობა და მეღვინეობა“ და „მევენახეობა და ენოლოგია“ (ინგლისურენოვანი) შეადგენს 6:1-ს. საბაკალავრო პროგრამებზე მოწვეული პერსონალის შედარებით მაღალი ჩართულობა განპირობებულია პრაქტიკაზე ორიენტირებული და ფართო პროფილის სასწავლო კურსების შეთავაზებით, ხოლო სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში წამყვან როლს აფილირებული აკადემიური პერსონალი ასრულებს, რაც დაკავშირებულია სპეციალიზებული სწავლებისა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის თავისებურებებთან.

- პროგრამების აფილირებული აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს შესაბამისი დარგობრივი მიმართულების დოქტორის აკადემიურ ხარისხს. აღნიშნული მაჩვენებელი საბაკალავრო პროგრამაში „სატყეო საქმე“ არის 47%-ს (21/45), საბაკალავრო პროგრამაში - „მევენახეობა და ენოლოგია“ 70%-ს (30/43), სამაგისტრო პროგრამაში „სატყეო საქმე“ - 67%-ს (8/12), ხოლო ორივე სამაგისტრო პროგრამაში „მევენახეობა და მეღვინეობა“ და ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში "მევენახეობა და ენოლოგია" — 86%-ს (6/7) შეადგენს.

- რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას, უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული აკადემიური დატვირთვის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს, რომ ერთ ხელმძღვანელს სემესტრში შეიძლება ჰყავდეს არაუმეტეს სამი მაგისტრანტისა, ხოლო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალი, ისე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელშეკრულებით მოწვეული დოქტორის ხარისხის მქონე პირი. ვინაიდან კლასტერში შემავალი სამივე სამაგისტრო პროგრამა (სატყეო საქმე, მევენახეობა და მეღვინეობა და ინგლისურენოვანი მევენახეობა და ენოლოგია) ახალია, თვითშეფასების ანგარიშში სწორად არის აღნიშნული, რომ ამ ეტაპზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობის მოქმედი მაჩვენებელი ჯერ არ არსებობს. აღნიშნული ინდიკატორი გაზომვადი გახდება მას შემდეგ, რაც პირველი ნაკადები მიაღწევენ სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპს და შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს თვითშეფასების ანგარიშის მომდევნო ციკლებში.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები**
- ამჟამად, თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის პერსონალის კვლევითი სტატუსი აღწერილია უფრო მეტად თვისებრივი და არა რაოდენობრივი მაჩვენებლებით: აღნიშნულია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენციები დასტურდება ბოლო ათი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით — მათ შორის, სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებითა და რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებით — აგრეთვე, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობით. ასევე აღნიშნულია, რომ პერსონალი ჩართულია გამოყენებით და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;

სტუდენტები ზოგჯერ აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ ამ პროექტებში; უნივერსიტეტი 2026 წლის ბიუჯეტის ფარგლებში მხარს უჭერს პროფესიულ განვითარებას კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის დაფინანსების გზით; და რომ აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს, ხუთ წელიწადში ერთხელ ისარგებლოს ექვსთვიანი სამეცნიერო შვებულებით.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.

- **თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[1]

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**
- სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია სატყეო საქმისა და მევენახეობა - ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, სატყეო საქმისა და მევენახეობა - მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე, მევენახეობა-ენოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად მომზადებულ შეფასების პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი მიგნებების შესახებ.
- უნივერსიტეტმა უკვე დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვის პროცესი, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად არის ჩართული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ პერსონალს უწევს კონსულტაციებსა და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ დახვეწასა და უწყვეტ განვითარებას.

- **კლასტერული რეკომენდაციები**

● რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოყენებული არაპირდაპირი შეფასების მტკიცებულებები

[1]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

(დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეგროვდეს და აისახოს, რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციები. (1.3)

ვეთანხმებით, უნივერსიტეტს უკვე გააჩნია შესაბამისი ზოგადი წესი, რომლის საფუძველზეც საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციებთან დაკავშირებული მონაცემები მკაფიოდ გაიმიჯნება და ცალკე აისახება.

● რეკომენდებულია, პერსონალმა მიიღოს საკმარისი ინფორმაცია თუ როგორ უწყობს ხელს კურსის დონის სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. (1.3)

ვეთანხმებით, უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ მხრივ უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერებას.

● რეკომენდებულია, პერსონალი საკმარისად იყოს ჩართული სწავლის შედეგების სისტემატური შესაბამისობის დადგენისა და შეფასების პროცესში. (1.3)

ვეთანხმებით, უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაზრდას.

● საგანმანათლებლო კამპუსებს შორის ტერიტორიული მანძილის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ დანერგოს საგანმანათლებლო პროცესის მართვის ეფექტური მოდელი, მათ შორის, სწავლების განრიგის დაგეგმვის სპეციალიზებული სისტემის გამოყენებით, და სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მის ხელთ არსებული რესურსები. (2.1)

ვეთანხმებით

● რეკომენდებულია, ოფიციალურად განისაზღვროს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის არსებული თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძველი და სათანადოდ დარეგულირდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმების გზით. (2.2)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ოფიციალური მემორანდუმები მრავალ ორგანიზაციასთან, რომლებიც წარმოადგენს თანამშრომლობის ფორმალური შეთანხმებების საფუძველს და არეგულირებს მხარეებს შორის თანამშრომლობის პირობებს.

● რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს სტანდარტიზებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტმა დროულად და ინდივიდუალური მიიღოს უკუკავშირი ყველა კურსის შუალედურ და საბოლოო შეფასებებთან დაკავშირებით. (2.4)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგილია StudLab-ის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა საგამოცდო ცენტრის მეშვეობით დროულად და ინდივიდუალურად მიიღონ უკუკავშირი.

● რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და აკადემიური კეთილსინდისიერების მარეგულირებელ ჩარჩოში ოფიციალურად ასახოს ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც არეგულირებს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკურ გამოყენებას. (2.4)

ვეთანხმებით

● რეკომენდებულია, უსდ-მ აამოქმედოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების ქმედითი მექანიზმი, უზრუნველყოს პრაქტიკაში მისი რეალური განხორციელება და დანიშნულებისამებრ, ეფექტიანი ფუნქციონირება. (2.4)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების წესის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. რეგულაციის მე-6 მუხლი განსაზღვრავს შეფასების გასაჩივრების მექანიზმს, რომელიც, სავარაუდოდ, ტექნიკური მიზეზების გამო არ აისახა აკრედიტაციის განაცხადში (იხ. დანართი 2).

● რეკომენდებულია, შემუშავდეს სისტემური მექანიზმი, რომელიც შეაფასებს პროფესიული განვითარების აქტივობების გავლენას სწავლების ხარისხზე, კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობაზე, სასწავლო გეგმის ინოვაციურ განახლებასა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე. (4.3)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება დაგეგმე, შეასრულე, შეამოწმე, იმოქმედე (Plan–Do–Check–Act (PDCA)) ციკლს. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, და დაგეგმილია ორივე სისტემის შემდგომი გაძლიერება და განვითარება.

● რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტი უზრუნველყოს ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის ანგარიშითა და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერით, რათა მათ სრულად ჰქონდეთ წვდომა როგორც უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებზე, ისე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეშვეობით ხელმისაწვდომ დარგობრივ ელექტრონულ რესურსებზე (4.4)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს კორპორაციული ელექტრონული ფოსტის ანგარიში და ისარგებლოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებით. ასევე გაფორმებულია ოფიციალური ხელშეკრულება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. აღნიშნული ინფორმაცია, სავარაუდოდ, ტექნიკური მიზეზების გამო არ აისახა აკრედიტაციის განაცხადში (იხ. დანართი 3).

● რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება ხელმისაწვდომი აკადემიური რესურსების შესახებ, რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების, მომხმარებლის გზამკვლევებისა და სხვა შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმების გამოყენებით. (4.4)

ვეთანხმებით

● რეკომენდებულია, გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ცნობიერება და შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტეგრირებისა და ორიენტაციის სისტემატური პროცესი. ამ მიზნით, რეკომენდებულია, დაინერგოს სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის უკეთ გააზრებას, შეფასების პროცესებში საკუთარი როლის გაცნობიერებას და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში უფრო აქტიურ და სისტემურ ჩართულობას. (5.1)

ვეთანხმებით. უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს გაძლიერდეს თანამშრომლობა პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რათა გაიზარდოს მათი ცნობიერება ხარისხის კულტურის მნიშვნელობის შესახებ.

●რეკომენდებულია, განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი სამიზნე ნიშნულები და გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგი პროგრამის დონეზე, რაც გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატურ შეფასებას, პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, მისი უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. (5.3)

ვეთანხმებით, უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგი პროგრამის დონეზე.

- **საბაკალავრო პროგრამა " სატყეო საქმე"**

● რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა, რომლებიც ამჟამად მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა მოძველებულ წყაროებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კურსები „დენდრომეტრია“ (ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ 2017 წლის ერთი სალექციო ჩანაწერით, რომელსაც თან ახლავს 1955–1990 წლებით დათარიღებული წყაროები) და „ტყის ზოოლოგია“ (ძირითადი სახელმძღვანელო გამოცემულია 2001 წელს). აღნიშნული აუცილებელია, რომ სასწავლო მასალები ასახავდეს დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებს და შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს. ამასთან, პროგრამის სხვა მონათესავე სასწავლო კურსებში (მაგ., „ნიადაგმცოდნეობა“, 2020; „ბოტანიკა“, 2024) უკვე იკვეთება უფრო თანამედროვე და განახლებული ლიტერატურის გამოყენების პოზიტიური პრაქტიკა. (1.5)

ვეთანხმებით

- **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და ენოლოგია“**

არ ეხება

- **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა " სატყეო საქმე"**

არ ეხება

- **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა " მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)**

● რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და განაახლოს დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტუდენტის მიერ

სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის ცვლილების პროცედურები და შესაბამისი წესები. (3.2)

ვეთანხმებით

● რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მკაფიო და სისტემური მექანიზმი. (3.2)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, რომლებიც ასევე მოიცავს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ხარისხის შეფასებას. გარდა ამისა, შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეაფასონ საკუთარი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. აღნიშნული ინფორმაცია, სავარაუდოდ, ტექნიკური მიზეზების გამო არ აისახა აკრედიტაციის განაცხადში (იხ. დანართი 4).

● რეკომენდებულია, ფაკულტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირების ჩამონათვალი. (4.2)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. დამტკიცებულ სამაგისტრო პროგრამებში განსაზღვრულია როგორც კვლევის მიმართულებები, ისე პოტენციური სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები.

- **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა " მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)**

● რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და განაახლოს დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის ცვლილების პროცედურები და შესაბამისი წესები. (3.2)

ვეთანხმებით

● რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მკაფიო და სისტემური მექანიზმი. (3.2)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, რომლებიც ასევე მოიცავს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ხარისხის შეფასებას. გარდა ამისა, შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეაფასონ საკუთარი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. აღნიშნული ინფორმაცია, სავარაუდოდ, ტექნიკური მიზეზების გამო არ აისახა აკრედიტაციის განაცხადში (იხ. დანართი 4).

● რეკომენდებულია, ფაკულტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირების ჩამონათვალი. (4.2)

ნაწილობრივ ვეთანხმებით. დამტკიცებულ სამაგისტრო პროგრამებში განსაზღვრულია როგორც კვლევის მიმართულებები, ისე პოტენციური სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ლინკი):

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო
საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

აკრედიტაციის
სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა

შეფასების
კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის პროგრამების კლასტერის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით: კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფასება.

შეფასების მიდგომები:

კლასტერული შეფასება: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამების ერთიანი მახასიათებლის ნიშნით.

ინდივიდუალური შეფასება: საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. პროგრამის ინდივიდუალური შეფასება მნიშვნელოვანია განხორციელდეს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც გაიცემა - რეკომენდაცია ან/და რჩევა.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

№	**დასახელება/** **სტანდარტი**	საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"	საბაკალავრო პროგრამა " მევენახეობა და ენოლოგია "	სამაგისტრო პროგრამა " სატყეო საქმე"	სამაგის მევენახ მეღვინ
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამ**
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
1.4.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილ შესაბამ მოთხო**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები;	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ

2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
3.	**სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამისობაშია**	**შესაბამ**
3.1	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება	არ ეხება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილ შესაბამ მოთხო**
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
4.2	მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
4.4	მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია	შესაბამ
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილ შესაბამ მოთხო

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ დადგენილი აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. უნივერსიტეტმა სტანდარტებთან შესაბამისობა აჩვენა თვითშეფასების ანგარიშით, რომელიც

მოიცავს აკადემიური პროგრამების ეფექტიანობის დამადასტურებელ სიღრმისეულ ანალიზსა და მტკიცებულებებს. პროგრამებს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს. სწავლება - სწავლის მეთოდოლოგია და სასწავლო პროცესი სტრუქტურირებულია, რომ უზრუნველყოს, სტუდენტების მიერ, სწავლის შედეგების ეფექტიანი მიღწევა.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე"

პროგრამის მიზანია, მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი კონკურენტუნარიანი სატყეო საქმის ბაკალავრი, რომელსაც ექნება შესაბამისი ცოდნა და უნარები ტყის ეკოსისტემების შენარჩუნების, დაცვისა და აღდგენის, ტყის გაშენების, ტყეების მდგრადი და მრავალფუნქციური მართვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით; ასევე, შექმნას საფუძველი სატყეო საქმის სფეროში შემდგომი სწავლისა და პროფესიული განვითარებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) დონეს - ისინი ხაზს უსვამს ეკოლოგიისა და მართვის სფეროში ფუნდამენტური ცოდნისა და უნარების დაუფლებას და არა დამოუკიდებელი კვლევის უნარის განვითარებას. ისინი შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროს (0821 — მეტყევეობა) და ლოგიკურად უკავშირდება სამ არჩევით კონცენტრაციას, რომლებიც აძლიერებს პრაქტიკულ კომპეტენციებს, თუმცა არ ცვლის პროგრამის საერთო, საბაზისო სასწავლო მიზნებს. პროგრამის მიზნები რეალისტურია არსებული რესურსების გათვალისწინებით (45 განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სატყეო საქმისთვის განკუთვნილი სპეციალიზებული ლაბორატორიები), ხოლო შრომის ბაზარზე ორიენტირება ნათლად იკვეთება, რადგან პროგრამა ხაზს უსვამს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და ენოლოგია“

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი ბაკალავრი, რომელიც ფლობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკულ უნარებსა და თეორიულ ცოდნას; განუვითაროს მას ვენახის გაშენების, ვაზის მოვლა-მოყვანის, ყურძნისა და ნედლეულის ხარისხის შეფასებისა და ეკოლოგიურად მდგრადი წარმოების განხორციელების კომპეტენციები, ასევე, მეღვინეობის კლასიკური, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისა და შეფასების უნარები; და შეუქმნას მყარი საფუძველი შემდგომი განათლებისა და პროფესიული განვითარებისათვის. პროგრამის მიზნები მოიცავს წარმოების სრულ ჯაჭვს — ვენახის გაშენებიდან მზა პროდუქტის წარმოებამდე, რაც შეესაბამება ინტერდისციპლინურ სწავლის სფეროს (0888 – მევენახეობა და მეღვინეობა) და საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის მიზნებში „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების“"

წარმოების აღნიშვნა და, ამავდროულად, „კლასიკურ" (მაგ., ქვევრი) და „ინოვაციურ" ტექნოლოგიებზე ყურადღების გამახვილება მიუთითებს, რომ გააზრებულადაა დაცული ბალანსი ქართული ღვინის დაყენების ტრადიციულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკას შორის, რაც, სატყეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან შედარებით, ამ პროგრამის ერთ-ერთ გამორჩეული მახასიათებელია. პროგრამის მიზნების მიღწევას ეფექტიანად უწყობს ხელს კურიკულუმში გათვალისწინებული პრაქტიკისა და საწარმოო სტაჟირების კომპონენტი.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"

პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სატყეო საქმის მაგისტრი, რომელიც შეძლებს გამოიყენოს ინოვაციური მეთოდები და დააკმაყოფილოს საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები; განუვითაროს უნარები სატყეო მეურნეობის მენეჯმენტში, ინოვაციურ საქმიანობაში, დამოუკიდებელ კვლევაში, კრიტიკულ ანალიზსა და დაგეგმვაში; და უზრუნველყოს მდგრადი შესაძლებლობები უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სატყეო სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებას. პროგრამის მიზნები ბაკალავრის საფეხურთან შედარებით სათანადოდ არის გაღრმავებული და ორიენტირებულია დამოუკიდებელი კვლევის, კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებაზე, რაც სრულად შეესაბამება სწავლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე) მოლოდინებს. პროგრამის მიზნები ლოგიკურად ითვალისწინებს სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულ 30-კრედიტიან კვლევით (სამაგისტრო ნაშრომის) კომპონენტს. საყურადღებოა ერთი საკითხი: ვინაიდან პროგრამა ახალია და მის განხორციელებაში მხოლოდ 12 აკადემიური/სასწავლო პერსონალი მონაწილეობს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, პროგრამის მიზნებში მითითებული „საერთაშორისო სტანდარტებისა“ და „ინოვაციური მეთოდების“ დანერგვა საჭიროებს მკაფიო და დასაბუთებულ მხარდაჭერას პერსონალის მიმდინარე კვლევითი შედეგებითა და საერთაშორისო ჩართულობით, რადგან ამ ეტაპზე პროგრამას შესაბამისი გამოცდილება ჯერ არ გააჩნია.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“

პროგრამა მიზნად ისახავს ვენახის გაშენებისა და მართვის თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების სწავლებას ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებაზე და მევენახეობის მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით; ასწავლოს ყურძნის გადამუშავების ტრადიციული, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიები და ხარისხის შეფასებისა და სენსორული ანალიზის საერთაშორისო სისტემები და ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; და მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ მართონ წარმოების სრული ჯაჭვი - ვენახის გაშენებიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე. პროგრამის მიზნები მკაფიოდ განსხვავდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა და ენოლოგია“ მიზნებისგან, ვინაიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს წარმოების სრული ჯაჭვის მართვაზე, ექსპერიმენტული და კვლევითი მეთოდოლოგიის დაუფლებაზე, აგრეთვე, ხარისხის შეფასების საერთაშორისო სისტემების გამოყენებაზე, რაც სრულად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის)

მოთხოვნებს. პროგრამის მიზნების სამნაწილიანი სტრუქტურა (ვენახის გაშენებისა და მართვის სწავლება; გადამუშავების ტექნოლოგიების სწავლება; კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება) ლოგიკურად თანმიმდევრულია და ასახავს პროგრამაში ინტეგრირებულ პრაქტიკულ კომპონენტებს — 5 - კრედიტიან საწარმოო პრაქტიკას მევენახეობაში, 6-კრედიტიან საწარმოო პრაქტიკასა და 30 - კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და ენოლოგია“ (ინგლისურენოვანი)

პროგრამა მიზნად ისახავს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიული განვითარების შესწავლას მსოფლიო ჭრილში თანამედროვე ვენახის მართვის მიდგომებთან ერთად; ყურძნის გადამუშავების ინოვაციური და ტრადიციული ტექნოლოგიების შესწავლას საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად, მათ შორის მიკრობიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური პროცესებისა და ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის საკითხების დაუფლებას; ღვინის შეფასების საერთაშორისო სისტემების, ღვინის დაავადებების პრევენციის მეთოდებისა და ღვინის ტურიზმის თანამედროვე ტენდენციების, მათ შორის „ღვინის გზის“ (Wine Route) განვითარების პრინციპების შესწავლას; ასევე, კონკურენტუნარიანი მაგისტრის მომზადებას, რომელსაც ექნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოების სრული ციკლის მართვის უნარი. კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს შორის აღნიშნულ პროგრამას ყველაზე ფართოდ ჩამოყალიბებული მიზნები აქვს, რაც მის ორმაგ დანიშნულებას ასახავს: მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში პროფესიული კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, იგი მოიცავს ღვინის ტურიზმისა და მარკეტინგის მიმართულებებსაც, რაც ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ მიზნებში არ არის გათვალისწინებული. მიზნების ეს უფრო ფართო სპექტრი შეესაბამება პროგრამის საერთაშორისო ორიენტაციას, რომელიც მიზნად ისახავს უცხოელი სტუდენტების მოზიდვასა და ღვინის გლობალურ ბაზრებთან აქტიურ დაკავშირებას. აღნიშნული თავისებურება ასევე აისახება პროგრამის სტრუქტურაში — სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულია 45 კრედიტი (ნაცვლად 30 კრედიტისა, როგორც ეს პარალელური ქართულენოვანი პროგრამაშია განსაზღვრული) და პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილია ინგლისური ენის ფლობის B2 დონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაცები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს პროგრამათაშორისი თანამშრომლობა, რათა ხელი შეუწყოს ინტერდისციპლინურ სწავლებას და სტუდენტთა აკადემიური თვალსაწიერის გაფართოებას.
საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"		
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და მეღვინეობა"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)		

შეფასება[2]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შეფასება**
საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"	შესაბამისობაშია
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"	შესაბამისობაშია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"	შესაბამისობაშია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და მეღვინეობა"	შესაბამისობაშია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)	შესაბამისობაშია

[2]შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით- კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტს სრულად შეესაბამება, რაც დასტურდება ინდუსტრიის მოთხოვნებზე მორგებული, შინაარსობრივად სრულყოფილი სასწავლო კურსებითა და ეფექტურად ორგანიზებული პრაქტიკული მომზადების კომპონენტებით. თვითშეფასების ანგარიში ყურადღებას ამახვილებს კურიკულუმის მყარ და ეფექტურ სტრუქტურაზე, რომელიც წარმატებით აერთიანებს თეორიულ ცოდნასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თანდართული დოკუმენტები და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დაკვირვებები ადასტურებს, რომ პროგრამები იცავს ხარისხის სტანდარტებს და უზრუნველყოფს მათ მუდმივ განახლებასა და გაუმჯობესებას მიღებული უკუკავშირისა და დარგში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით. პროგრამები ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, რაც სრულად შეესაბამება მოსალოდნელ სწავლის შედეგებსა და დარგის მოთხოვნებს.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აერთიანებს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტებს. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის

დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ისინი არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ისინი ეფუძნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და კვალიფიკაციის მოთხოვნებთან თანხვედრას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს მოთხოვნებს და ქმნის საფუძველს გააგრძელონ სწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე. ისინი შეესაბამება სწავლის სფეროს თავისებურებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და მასში ჩართული არიან ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.). კლასტერში დაჯგუფებული სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შინაარსის, სირთულისა და კომპლექსურობის თვალსაზრისით თანმიმდევრულია და ვითარდება შესაბამისი საფეხურების (ციკლების) გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები დაინტერესებულ მხარეებს აწვდიან ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამა " სატყეო საქმე"

სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს, რადგან სასწავლო გეგმა ეფექტურად აერთიანებს სატყეო საქმის ფუნდამენტურ პრინციპებსა და პრაქტიკულ საველე საქმიანობას, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით და ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგებით. თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსების ფართო და სრულყოფილ სპექტრს, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ეკოსისტემების მართვა, კონსერვაციის მეთოდები და მდგრადი სატყეო პრაქტიკა. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დაკვირვებები ადასტურებს, რომ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის ლაბორატორიები და საველე ობიექტები, სათანადოდ არის აღჭურვილი პრაქტიკული სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად, რაც შეესაბამება პროგრამის საგანმანათლებლო მიზნებს. პროგრამა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს, ეფექტურად გაუმკლავდნენ დარგის მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და ენოლოგია"

მევენახეობისა და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტს, რადგან უზრუნველყოფს სასწავლო გეგმას, რომელიც აერთიანებს თეორიულ ცოდნას ყურძნის კულტივირებისა და მეღვინეობის პრაქტიკულ გამოყენებასთან, როგორც ეს დეტალურად არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. თვითშეფასების ანგარიში ხაზს უსვამს სასწავლო კურსების მრავალფეროვან ერთობლიობას, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ვაზის ფიზიოლოგია, ღვინის წარმოების ტექნოლოგიები და სენსორული შეფასება, რაც უზრუნველყოფს მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროს სრულყოფილ და ყოვლისმომცველ დაფარვას. წარმოდგენილი დოკუმენტები და ვიზიტის ფარგლებში მიღებული მიგნებები ადასტურებს, რომ პროგრამას გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა და შესაბამისი აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკული სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერას და ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ანალიტიკური უნარების, კრიტიკული აზროვნებისა და დარგისთვის მნიშვნელოვანი პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს ამზადებს მევენახეობისა და ენოლოგიის სწრაფად განვითარებად სფეროში ეფექტური საქმიანობისთვის.

აღწერა და ანალიზი — სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“

სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, ვინაიდან პროგრამის კურიკულუმი აერთიანებს სიღრმისეული თეორიული სწავლებას პრაქტიკულ საველე მუშაობასთან, რაც ნაჩვენებია თვითშეფასების ანგარიშში. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია სასწავლო კურსების მრავალფეროვანი სპექტრი, რომელიც მოიცავს სიღრმისეულ საკითხებს ტყის ეკოლოგიის, ტყის რესურსების მართვისა და ბუნების კონსერვაციის სტრატეგიების მიმართულებით, რაც უზურნველყოფს დარგის სიღრმისეული ცოდნის მიღების შესაძლებლობას. თანდართული დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დაკვირვებები ადასტურებს, რომ პროგრამას აქვს წვდომა თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ კვლევით ინფრასტრუქტურასა და საველე ობიექტებზე, რაც არსებითად მნიშვნელოვანია პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლიდერული უნარების, კვლევითი კომპეტენციებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს ამზადებს სატყეო საქმისა და გარემოს მართვის სფეროში არსებული კომპლექსური გამოწვევების გადასაჭრელად.

აღწერა და ანალიზი — სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“

„მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რადგან უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის განხორციელებას, რომელიც აერთიანებს სიღრმისეულ თეორიულ სწავლებასა და მეღვინეობისა და ვენახის მართვის პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშით და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრებით. თვითშეფასების ანგარიშის

მიხედვით, პროგრამის კურიკულუმი ფარავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მეღვინეობის თანამედროვე მიმართულებები, მევენახეობის მეცნიერება და ღვინის ბიზნესის მართვა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ცოდნა ღვინის ინდუსტრიის შესახებ. თანდართული დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები ადასტურებს, რომ პროგრამას აქვს წვდომა თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და კვლევით ობიექტებზე, რაც ხელს უწყობს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან განხორციელებას და სტუდენტებში პრაქტიკული უნარებისა და ინოვაციური აზროვნების განვითარებას. პროგრამა ხას უსვამს სტრატეგიული აზროვნების, კვლევითი კომპეტენციებისა და ინდუსტრიასთან დაკავშირებული შესაბამისი უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას, წარმატებით შეასრულონ ლიდერული როლი გლობალურ ღვინის სექტორში.

აღწერა და ანალიზი — სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და ენოლოგია“ (ინგლისურენოვანი)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა " მევენახეობა და ენოლოგია" შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რადგან პროგრამის კურიკულუმი აერთიანებს სიღრმისეულ თეორიულ სწავლებასა და მეღვინეობისა და ვენახის მართვის პრაქტიკულ კომპონენტებს, როგორც ეს ხაზგასმულია თვითშეფასების ანგარიშში. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის კურიკულუმი აერთიანებს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა ენოლოგია, მევენახეობის მეცნიერება, ღვინის ბიზნესის მართვა და სენსორული შეფასება, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ სიღრმისეული ცოდნა ღვინის ინდუსტრიისთვის მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები და თანდართული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლაბორატორიები და ვენახები, რაც უმნიშვნელოვანესია პრაქტიკულ სწავლებასა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობისა და პროფესიული უნარების განვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს სტრატეგიული აზროვნების, ინოვაციური კვლევითი კომპეტენციებისა და დარგის მოთხოვნებთან შესაბამისი უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას, შეასრულონ ლიდერული როლი გლობალურ ღვინის ინდუსტრიაში და ეფექტიანად გაუმკლავდნენ მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროში არსებულ კომპლექსურ გამოწვევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"		
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და მეღვინეობა"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" ინგლისურენოვანი		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:**	**შეფასება**
საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"	შესაბამისობაშია
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"	შესაბამისობაშია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"	შესაბამისობაშია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და მეღვინეობა"	შესაბამისობაშია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" ინგლისურენოვანი	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა, და ეს მიდგომა ვრცელდება კლასტერში გაერთიანებულ

ყველა ახალ პროგრამაზე. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ითვალისწინებს სწავლის შედეგების აღწერას. სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას სამ დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს (დისციპლინებს) და შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი კურიკულუმის რუკა.

სწავლის შედეგების შეფასების ვადები და პერიოდულობა ასევე წარმოადგენს ამ პროცესის ნაწილს და, ძირითადად, ხორციელდება ყოველწლიურად. სსუ-ს შემუშავებული აქვს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც არსებობს გარკვეული სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. როგორც წინამდებარე ანგარიშის 4.5 პუნქტშიც არის აღნიშნული, ამ მიმართულებით საჭიროა გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას მკაფიოდ განსაზღვრული და გაზომვადი ინდიკატორების, ასევე კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდების გამოყენება. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული არაპირდაპირი შეფასების მტკიცებულებები (დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეგროვდეს და წარმოდგენილი იქნეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს საბაკალავრო და სამაგისტრო კვალიფიკაციების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამჟამად, თითოეულ სფეროში (მეტყევეობა; მევენახეობა-მეღვინეობა) ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე გამოკითხვის ინსტრუმენტი და მონაცემთა ბაზა, რის შედეგადაც ცალკე არ არის წარმოდგენილი დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებები იმ დამატებითი კომპეტენციების შესახებ, რომლებიც მაგისტრის დონეზეა მოსალოდნელი. შესაბამისად, ეს სრულად ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგების შეფასება უნდა განხორციელდეს „დარგის სპეციფიკისა“ და შესაბამისი სწავლის საფეხურის გათვალისწინებით.

სწავლის შედეგების შეფასება ასევე უკავშირდება მათი გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გულისხმობდეს სამიზნე ნიშნულებთან შედარებითი ანალიზის განმეორებით განხორციელებას. სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გარკვეულწილად დადასტურდა სსუ-ის დოკუმენტაციითა და ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით. პროგრამასთან დაკავშირებულ პერსონალს უნდა გაეწიოს მხარდაჭერა იმ უნარების განვითარებაში, რომლებიც აუცილებელია სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის. ამჟამად, როგორც ჩანს, პერსონალი ყოველთვის არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ უწყობს ხელს სასწავლო კურსის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგები პროგრამის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სსუ გეგმავს, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ინფორმირება სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ. ამ ეტაპზე, პროგრამის პერსონალი სრულად არ არის ჩართული სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფისა და შეფასების პროცესში, რამაც

შესაძლოა ხელი შეუშალოს იმის გააზრებას, როგორ უწყობს ხელს სასწავლო კურსის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგები პროგრამის დონის სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინტერვიუების შედეგები
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	● რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოყენებული არაპირდაპირი შეფასების მტკიცებულებები (დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეგროვდეს და აისახოს, რომ მკაფიოდ გაიმიჯნოს	

	საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციები. ● რეკომენდებულია, პერსონალმა მიიღოს საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს კურსის დონის სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ● რეკომენდებულია, პერსონალი საკმარისად იყოს ჩართული სწავლის შედეგების სისტემატური შესაბამისობის დადგენისა და შეფასების პროცესში.	
საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"		
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და მეღვინეობა"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა		სასურველია, დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამისთვის შეიმუშაოს და აწარმოოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დამოუკიდებელი დოკუმენტაცია,

და ენოლოგია" ინგლისურენოვანი		რომელიც გამიჯნული იქნება ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ შესაბამისი დოკუმენტაციისგან, იმის გათვალისწინებით, რომ თვითშეფასების ანგარიშში უკვე იდენტიფიცირებულია განსხვავებები ამ ორ პროგრამას შორის სწავლის შედეგების, კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილებისა და სამიზნე სტუდენტთა კონტინგენტის თვალსაზრისით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი [1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი]	**შეფასება**
საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და მეღვინეობა"	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად კომპონენტის განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიეროკვლევის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის

შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;

- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

ხუთივე კლასტერული პროგრამის სტრუქტურა, საერთო ჯამში, თანმიმდევრულია, ლოგიკურად არის დალაგებული და შეესაბამება ECTS-ის მოთხოვნებსა და მინიჭებულ კვალიფიკაციას. კრედიტების განაწილება შინაგანად შეთანხმებულია, წინაპირობების ჯაჭვები ზოგადად ლოგიკურია და თითოეული პროგრამის ფარგლებში შინაარსი საბაზისო ცოდნიდან სპეციალიზებულ და გამოყენებით კომპონენტებზე თანმიმდევრულად გადადის.

დოკუმენტაციის ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის დროს გამოვლენილი პრობლემები ძირითადად დოკუმენტების მომზადებასთან და შიდა შეთანხმებასთან არის დაკავშირებული და არა თავად პროგრამების აკადემიურ დიზაინთან. ამ საკითხების მოგვარება შემოთავაზებულია პროგრამის დოკუმენტაციის შეთანხმებულობის, სიზუსტისა და ერთგვაროვნების გასაუმჯობესებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია მკაფიო, თანმიმდევრული და სისტემატური ფორმით იყოს წარმოდგენილი.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა (193 ECTS კრედიტი 6 სემესტრში) ლოგიკურად არის დალაგებული, I-II სემესტრებში (კალკულუსი, ქიმია, ბოტანიკა, ტყის ზოოლოგია) ფუნდამენტური მეცნიერებებიდან III-IV სემესტრებში (დენდროლოგია, ნიადაგმცოდნეობა, ტყის ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია, დენდრომეტრია) სპეციალიზებული სატყეო დისციპლინების გავლით V-VI სემესტრებში (ტყის მენეჯმენტი, ურბანული სატყეო მეურნეობა, 15-კრედიტიანი საველე პრაქტიკა, 5-კრედიტიანი ბაკალავრის პროექტი) გამოყენებითი/მენეჯმენტის შინაარსისა და საველე პრაქტიკის ჩათვლით. სამი არჩევითი სპეციალიზაცია კარგად არის ინტეგრირებული, რაც აძლიერებს პრაქტიკის კომპონენტს და სპეციალიზაციის მიმართულებით, ძირითადი სასწავლო გეგმის თანმიმდევრობას უზრუნველყოფს. სემესტრული კრედიტების რაოდენობა (35/30/31/33/31/33) სწორად ემთხვევა 193 კრედიტიან ჯამს, მაგრამ არათანაბარია სტანდარტული 30 კრედიტიანი/სემესტრული ECTS ნორმასთან შედარებით, განსაკუთრებით 35 კრედიტიანი პირველი სემესტრის მიმართ; ეს პროგრამის ხელმძღვანელმა ადგილზე

ვიზიტის დროს დააზუსტა. თუმცა, შემოთავაზებულია მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო გეგმაში, რათა ხაზი გაესვას ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკასა და ტყეების როლს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში. ეს შეიძლება მოიცავდეს კურსებს ნახშირბადის შთანთქმის, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ეკოლოგიურად სუფთა მიწათსარგებლობის დაგეგმვის შესახებ.

აღწერა და ანალიზი - მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა (183 ECTS კრედიტი 6 სემესტრში) სტრუქტურირებულია მსგავსი ლოგიკური თანმიმდევრობით: ზოგადი მეცნიერებები და შესავალი კურსი „მევენახეობა და ენოლოგია: ისტორია და გამოწვევები“ პირველ სემესტრში, მცენარეების/ნიადაგის/ქიმიის საფუძვლები II-III სემესტრებში, მევენახეობისა და მეღვინეობის სპეციფიკური ტექნიკური კურსები (ამპელოგრაფია, ენოლოგიის პრინციპები, ღვინის მიკრობიოლოგია) IV-V სემესტრებში და გამოყენებითი/კომერციული თემები (ღვინის მარკეტინგი, ტურიზმის მენეჯმენტი, სამართლებრივი რეგულირება, სენსორული შეფასება), მეღვინეობის/კონიაკის საწარმოში სტაჟირებისა და 4-კრედიტიანი საბაკალავრო პროექტის პარალელურად VI სემესტრში. საპროგრამო დოკუმენტის ნაწილები „დასაქმების სფეროები“ და „კურსების შინაარსი“ პროგრამისთვის სპეციფიკურია და შინაგანად თანმიმდევრულია, შინაარსობრივი გადაფარვები გამოვლენილი არ არის. სემესტრული კრედიტების ჯამური რაოდენობა (32/31/30/30/27/33) კონკრეტულად 183-ს უდრის, მაგრამ V სემესტრში კრედიტების რაოდენობა 27-მდე მცირდება, რაც ახსნას საჭიროებს - განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე ტექნიკურად რთული კურსი (მეღვინეობის ინჟინერია, ღვინის მიკრობიოლოგია) ასევე შემოთავაზებულია მომიჯნავე სემესტრებში.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"

პროგრამა (4 სემესტრზე 120 ECTS კრედიტი) მკაფიოდ არის სტრუქტურირებული, სემესტრში ზუსტად 30 კრედიტით, სწორი ლოგიკით აგებული წინაპირობათა თანმიმდევრობით: მეორე სემესტრის კურსები (ტყის მართვის საინფორმაციო სისტემები, ტყის მართვის ორგანიზაცია, ტყის მოვლა-პატრონობა და ტყის სანერგეები, ტყის დაცვა და 10-კრედიტიანი სატყეო პრაქტიკა) მოითხოვს პირველი სემესტრის შესაბამისი ძირითადი კურსების დასრულებას, ხოლო მესამე სემესტრის კურსები, თავის მხრივ, მეორე სემესტრს ეფუძნება. 30-კრედიტიანი კვლევითი კომპონენტი/სამაგისტრო ნაშრომი სწორად არის განთავსებული ბოლო სემესტრში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

თავად პროგრამის საკრედიტო სტრუქტურა გონივრულია: 120 ECTS კრედიტი 4 სემესტრზე, თანაბარი 30 კრედიტით თითო სემესტრში, სწორი ლოგიკით აგებული წინაპირობათა თანმიმდევრობით (მაგ. „კვლევის მეთოდოლოგია და ექსპერიმენტი“ მეოთხე სემესტრში მოითხოვს ოთხ ზემოთხსენებულ კურსს I-III სემესტრში; „ქვევრის ტრადიციული მეღვინეობის ტექნოლოგია“ მოითხოვს ამპელოგრაფიას, ღვინის ტექნოლოგიას, ღვინის მიკრობიოლოგიას და ღვინის ქიმიას). დარგის

მომავალი გამოწვევებისთვის სტუდენტების მოსამზადებლად, შემოთავაზებულია კლიმატის ცვლილების მევენახეობაზე ზემოქმედების შესახებ სპეციალიზებული კურსის შექმნა.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)

სასარგებლო იქნებოდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესება პროგრამაში ინოვაციური ციფრული ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო აქტივობების ინტეგრირებით. პროგრამაში ვირტუალური პლატფორმებისა და ინტერაქტიული ონლაინ გამოცდილების დანერგვას შეუძლია შეავსოს ტრადიციული სწავლების მეთოდები, გააფართოვოს სწავლება აუდიტორიის მიღმა და სტუდენტების ჩართვა პრაქტიკულ აქტივობებში უფრო მოქნილი გახადოს. რეკომენდებულია, ვირტუალური ვენახების ტურებისა და ონლაინ ღვინის დეგუსტაციის სესიების ციფრული პლატფორმის დანერგვა, რათა სწავლა გასცდეს აუდიტორიის კედლებს და დაინერგოს ინოვაციური საგანმანათლებლო ინსტრუმენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o თვითშეფასების ანგარიში
o საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო გეგმები
o გამოკითხვის შედეგები და ფორმები
o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**<u>რეკომენდაციები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**<u>რჩევები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტაციის სათანადო მომზადება და წარმოდგენილი ინფორმაციის თანმიმდევრულობა.
საბაკალავრო პროგრამა "სატყეო საქმე"		სასურველია, სასწავლო პროგრამაში ინტეგრირდეს მდგრადი განვითარების პრინციპები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკებსა და

		ტყეების როლზე კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და მეღვინეობა"		სასურველია, შემუშავდეს სპეციალიზებული სასწავლო კურსი მევენახეობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ, რათა სტუდენტები უკეთ მოემზადონ დარგის სამომავლო გამოწვევებისთვის.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და მეღვინეობა" (ინგლისურენოვანი)		სასურველია, დაინერგოს ციფრული პლატფორმა ვირტუალური ვენახების ტურებისა და ონლაინ ღვინის დეგუსტაციის სესიების ჩასატარებლად, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, მიიღონ დამატებითი პრაქტიკული გამოცდილება და გაეცნონ მევენახეობისა და მეღვინეობის პრაქტიკულ ასპექტებს ციფრული რესურსების გამოყენებით, აუდიტორიული სწავლებისგან დამოუკიდებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შეფასება**
სატყეო საქმის საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

განხილული სასწავლო პროგრამები მიჰყვება თანმიმდევრულ, სათანადოდ სტრუქტურირებულ შაბლონს: კურსის მიზნები, წინაპირობები, ცოდნის/უნარების/ავტონომიის აღწერილობებთან შესაბამისობაში მყოფი სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, = ლექციის/პრაქტიკული შინაარსის ყოველკვირეული დეტალური განაწილება, სრულად განსაზღვრული მრავალკომპონენტიანი შეფასების სქემა (მიმდინარე აქტივობა, შუალედური გამოცდა, საბოლოო გამოცდა - თითოეული შეფასების მკაფიო რიტერიუმებით) და გამოყოფილი ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. შერჩევით შემთხვევებში კრედიტ-საათების არითმეტიკა სწორად მოწმდება: მაგალითად, საბაკალავრო სატყეო პროგრამის „დენდრომეტრიის“ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი კომპონენტები - ლექცია (15 სთ), პრაქტიკული (30 სთ), გამოცდა (4 სთ) და დამოუკიდებელი სამუშაო (76 სთ) - ჯამურად ზუსტად 125 საათს შეადგენს, რაც შეესაბამება მის მიერ გაცხადებულ 5 ECTS კრედიტს, უნივერსიტეტის არსებული სტანდარტის - „25 - საათი ერთი კრედიტი“ - შესაბამისად. შეფასების კრიტერიუმები დეტალურია და თანმიმდევრულად არის ფორმატირებული ორივე სფეროს შერჩევითად აღებულ სასწავლო გეგმებში. ეს ადასტურებს თვითშეფასების ანგარიშის მტკიცებას, რომ შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მკაფიოდ განსაზღვრული და წინასწარ ცნობილია.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები განსხვავდება გამოყენებული ლიტერატურის მხრივ. მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს სასწავლო გეგმები, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის

დონეზე, ეყრდნობა ძლიერ, საერთაშორისოდ აღიარებულ, ბოლოდროინდელ ინგლისურენოვან წყაროებს (მაგ., რიბერო-გაიონის ენოლოგიის სახელმძღვანელო, 2006; ჯექსონის ღვინის მეცნიერება, 2010; გუდი, 2014; ბერდი, 2014). ეს ადასტურებს თვითშეფასების ანგარიშის მტკიცებას, რომ კურსის ლიტერატურა „ასახავს უახლეს ტენდენციებს“ ამ სფეროში. ამის საპირისპიროდ, სატყეო მეურნეობის სფეროში შესწავლილი სასწავლო გეგმები ნაკლებად თანმიმდევრული სურათი იკვეთება: „დენდრომეტრიის“ საბაკალავრო კურსი მოიცავს ერთ საბაზისო ლიტერატურულ წყაროს (2017 წლის სალექციო კურსის PDF ფაილი), რომელიც თითქმის მთლიანად საბჭოთა ეპოქის წყაროებით არის გამყარებული (ანუჩინი 1981; მირზაშვილი 1955/1960; აფციაური 1964), ხოლო მაგისტრატურის კურსი „ტყის ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება“ ძირითად წყაროდ 2009 წლის სახელმძღვანელოს ასახელებს, რომელსაც ემატება ერთი თანამედროვე საერთაშორისო ტექსტი (Thomas & Packham, Cambridge University Press, 2007) და ზოგადი Wikibooks ჰიპერბმული — ეს უკანასკნელი კი სამაგისტრო საფეხურის კურსისთვის სისუსტეა.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთივე პროგრამის სასწავლო გეგმების მიმოხილვა სრულად არ ჩატარებულა და მხოლოდ წინასწარ შერჩეულ ნიმუშებზე განხორციელდა დაკვირვება, სტანდარტი მოითხოვს, რომ სასწავლო გეგმაში მითითებულმა სასწავლო მასალებმა „უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა“ და ასახავდეს სფეროში მიმდინარე მიღწევებს. ამ მოთხოვნას, შესწავლილი ნიმუშების მიხედვით, სატყეო დარგის სასწავლო პროგრამები სრულად არ აკმაყოფილებს, ვინაიდან მითითებული ლიტერატურა ექვსი ან მეტი ათწლეულით ადრეა შექმნილი და მოძველებულია 2026 წელს შექმნილი პროგრამისთვის.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ‘’სატყეო საქმე’

განხილული სასწავლო გეგმები (დენდრომეტრია, ტყის ზოოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, ბოტანიკა/მცენარეთა სისტემატიკა) მიჰყვება თანმიმდევრულ, სათანადოდ სტრუქტურირებულ შაბლონს, სწორად მითითებული კრედიტ-საათების არითმეტიკით (მაგ. დენდრომეტრიის 15 ლექცია + 30 პრაქტიკული + 4 გამოცდა + 76 დამოუკიდებელი საათი ზუსტად შეესაბამება მის მიერ მითითებულ 5 ECTS კრედიტს 25 საათის/კრედიტის შემთხვევაში) და დეტალური, კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით. შერჩეულ კურსებში ლიტერატურა სიახლის თვალსაზრისით არათანაბრად არის წარმოდგენილი: კურსებში „ნიადაგის მეცნიერება“ (ურუშაძე, 2020) და „ბოტანიკა“ (კუჭუხიძე და ჯოხაძე, მე-2 გამოცემა, 2024) ნამდვილად თანამედროვე წყაროებია მოყვანილი, ხოლო „დენდრომეტრია“ (ერთი 2017 წლის ლექციის ჩანაწერი, რომელიც თითქმის მთლიანად 1955–1990 წლების წყაროებით არის გამყარებული) და „ტყის ზოოლოგია“ (2001 წლის ძირითადი ტექსტი) ძირითადად ძველ მასალას ეყრდნობა. ეს არათანაბარი მდგომარეობა, რომელიც არ უნდა ჩაითვალოს ერთგვაროვან ნაკლოვანებად, შესაბამის კურსის ავტორებთან ადგილზე ვიზიტის დროს უნდა იქნას განხილული, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა უფრო თანამედროვე ლიტერატურა, მაგრამ არ იქნა მითითებული. ეს განსაკუთრებით ტაქსონომიასა და მეთოდოლოგიაზე ორიენტირებული კურსებს ეხება.

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა და ენოლოგია'

სასწავლო გეგმა „ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები" კარგად არის სტრუქტურირებული და მითითებულია თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა (რიბერო-გაიონის ენოლოგიის სახელმძღვანელო, 2006; ჯექსონის ღვინის მეცნიერება, 2010; გუდი, 2014; ბერდი, 2014; ვაინი და სხვ., 2002; რეინოლდსი, 2010), რაც ადასტურებს თვითშეფასების ანგარიშის მტკიცებას, რომ კურსის მასალები ასახავს სფეროში მიმდინარე მიღწევებს. შეფასების შეწონვა, შეფასების კრიტერიუმები და შეფასების დიაპაზონები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შინაგანად შეესაბამება შეფასების საუნივერსიტეტო წესებს. ამ პროგრამისთვის შერჩეულ სასწავლო გეგმებში ლიტერატურის აქტუალობასთან დაკავშირებული პრობლემები არ გამოვლენილა.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "სატყეო საქმე"

საერთო ჯამში, შერჩეული სასწავლო პროგრამებში (ტყის ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება; ტყის დაცვა; ტყის მართვის ორგანიზაცია) მითითებულია თანამედროვე ლიტერატურა, მათ შორის FAO-ს გლობალური ტყის რესურსების შეფასებები (2015, 2016, 2024), ბოლოდროინდელი რეცენზირებული ჟურნალების სტატიები (2020), საქართველოს მთავრობის მოქმედი სატყეო რეგულაციები (2021) და UNECE-ს 2020 წლის ანგარიში — რაც სათანადოდ მიუთითებს მაგისტრატურის დონეზე მოსალოდნელ კვლევასა და დარგობრივ პოლიტიკაზე. საჭიროა ერთი საკითხის დაზუსტება: „ტყის ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება" სასწავლო გეგმაში ძირითად წყაროდ მითითებულია 2009 წლის სახელმძღვანელო, რომელსაც დამატებითი ლიტერატურის სახით მითითებული აქვს ზოგადი Wikibooks ჰიპერბმული; ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს სამაგისტრო საფეხურის კურსისთვის სათანადო აკადემიურ წყაროს და უნდა შეიცვალოს ან დაემატოს რეცენზირებული ან სახელმძღვანელო მასალები.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და მეღვინეობა"

შერჩეულ სასწავლო პროგრამებს (ვაზის ფიზიოლოგია; ვენახების ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა; ღვინის წარმოება და მეღვინეობის სისტემები) მითითებული აქვს სამაგისტრო საფეხურის სწავლისთვის შესაფერისი თანამედროვე და საერთაშორისოდ აღიარებული ლიტერატურა (Keller, The Science of Grapevines, მე-2 გამოცემა, 2015; Goode, 2014; Iland, Dry, Proffitt & Tyerman; Ribéreau-Gayon, 2006; Jackson, 2010).

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "მევენახეობა და ენოლოგია" (ინგლისურენოვანი)

კლასტერის ერთადერთი ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ორიენტირებულია საერთაშორისო/ღვინის ტურიზმზე. განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა პროგრამის სასწავლო ეგგმების ნახვა, კერძოდ, არის თუ არა მითითებული ლიტერატურა უშუალოდ ინგლისურენოვანი (როგორც მოსალოდნელია ინგლისურენოვანი სწავლებისთვის) და არა ქართულენოვანი წყაროებიდან თარგმნილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- გამოკითხვის შედეგები და ფორმები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
სატყეო საქმის საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამა	რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა, რომლებიც ამჟამად მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა მოძველებულ წყაროებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კურსები „დენდრომეტრია“ (ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ 2017 წლის ერთი სალექციო ჩანაწერით, რომელსაც თან ახლავს 1955–1990 წლებით დათარიღებული წყაროები) და „ტყის ზოოლოგია“ (ძირითადი სახელმძღვანელო გამოცემულია 2001 წელს). აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ სასწავლო მასალები ასახავდეს დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებს და შეესაბამებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს. ამასთან, პროგრამის სხვა მონათესავე სასწავლო კურსებში (მაგ., „ნიადაგმცოდნეობა“, 2020; „ბოტანიკა“, 2024) უკვე იკვეთება უფრო თანამედროვე და განახლებული ლიტერატურის გამოყენების პოზიტიური პრაქტიკა.	სასურველია, დაწესებულებამ გადაამოწმოს სატყეო საქმის საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურის აქტუალობა და არ დაეყრდნოს მხოლოდ შერჩევით შეფასებას, რათა დადგინდეს, ვრცელდება თუ არა წინამდებარე შეფასების შედეგად გამოვლენილი ტენდენცია (ერთი და იმავე პროგრამის სასწავლო კურსებს შორის ლიტერატურის აქტუალობის არათანაბარი ხარისხი) პროგრამის სხვა სასწავლო კურსებზეც.
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო		

და საგანმანათლებლო პროგრამა		
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა		სასურველია, დაწესებულებამ სასწავლო კურსის „ტყის ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება“ სილაბუსში დამატებითი ლიტერატურის სახით ამჟამად მითითებული Wikibooks-ის ზოგადი ბმული ჩაანაცვლოს რეცენზირებული სამეცნიერო წყაროთი ან აკადემიური სახელმძღვანელოთი, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებს.
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 - სასწავლო კურსი/საგანი	**შეფასება**
სატყეო საქმის საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება

პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებზე მიღების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის დოკუმენტაციაში და უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს, სასწავლო სფეროს სპეციფიკას და სწავლების ენას შეესაბამება. მოთხოვნები შემუშავებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღებულ სტუდენტებს გააჩნდეთ საჭირო წინარე ცოდნა და მზადყოფნა პროგრამის დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

საბაკალავრო პროგრამებისთვის სტუდენტთა მიღების წინაპირობები შეესაბამება პირველი სასწავლო ციკლის პირობებს, ასევე, ზოგად ეროვნულ მიღების სისტემას და სასწავლო გეგმის შესავალ/საბაზისო ხასიათს. მაგისტრატურის პროგრამებისთვის მიღების წინაპირობები შესაბამისად უფრო მკაცრია, რაც ასახავს წინასწარი აკადემიური მომზადების საჭიროებას, დამოუკიდებელი მუშაობისთვის მზადყოფნას და კვლევასა და პრაქტიკაზე ორიენტირებულ კომპონენტებში, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომში ჩართვის უნარს.

ინგლისურენოვან მაგისტრატურას აქვს მკაფიო საერთაშორისო ორიენტაცია და, შესაბამისად, ენობრივი მოთხოვნა სწავლების ენას და პროგრამის მიზნებს შეესაბამება. საერთო ჯამში, მიღების წინაპირობები გამჭვირვალე, რელევანტური და ადეკვატურია, რომ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს შეეძლოთ სწავლის შედეგების მიღწევა.
ამ დადებითი დასკვნების მიუხედავად, ინფრასტრუქტურული და ლოგისტიკური თვალსაზრისით, ორ საგანმანათლებლო კამპუსს - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს - შორის მნიშვნელოვანი ტერიტორიული დაშორება აკადემიური საქმიანობის ეფექტური კოორდინაციისა და შეუფერხებელი განხორციელების მხრივ, შემაშფოთებელია. ეს გარემოება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის სტუდენტების კვოტის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას. ამ მიდგომამ უნდა შეამციროს კამპუსების ტერიტორიული დაშორებით გამოწვეული პოტენციური შეფერხებები, უზრუნველყოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ რესურსებზე თანაბარი წვდომა და ხელი შეუწყოს სწავლების, სწავლისა და სხვა აკადემიური საქმიანობის ეფექტურ და შეუფერხებელ განხორციელებას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o თვითშეფასების ანგარიში
o საგანმანათლებლო პროგრამები და მიღების წინაპირობა
o პროგრამის დოკუმენტაცია და სასწავლო პროგრამები
o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	საგანმანათლებლო კამპუსებს შორის ტერიტორიული მანძილის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ დანერგოს საგანმანათლებლო პროცესის მართვის ეფექტური მოდელი, მათ შორის, სწავლების განრიგის დაგეგმვის სპეციალიზებული სისტემის გამოყენებით, და სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს მის ხელთ არსებული რესურსები.	სასურველია, უსდ-მ ხუთივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის მიღების წინაპირობები გამოაქვეყნოს პროგრამების მიხედვით, მოკლე და მკაფიო ფორმატით, მათ შორის, დარგობრივი და ენობრივი მოთხოვნების მითითებით, რათა დაინტერესებულმა პირებმა მარტივად შეძლონ თითოეული პროგრამაზე დაშვების პირობების შედარება.
სატყეო საქმის საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამა		
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა		

მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შეფასება**
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და უნივერსალური უნარების განვითარებისთვის საკმარის შესაძლებლობებს იძლევა. სასწავლო პროგრამები თეორიულ კურსებს აერთიანებს საველე პრაქტიკასთან, ლაბორატორიულ/პრაქტიკულ სამუშაოებთან, საწარმოო ან სამრეწველო პრაქტიკასთან, პროექტებთან და სადიპლომო ნაშრომებთან. ეს სტრუქტურა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შეესაბამება და ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებისა და/ან შემდგომი სწავლისთვის მზადყოფნას.

სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მნიშვნელოვან პრაქტიკულ კომპონენტს, მათ შორის საველე პრაქტიკას და საბაკალავრო პროექტს, რომელიც საველე დაკვირვების, ტყის შეფასების, ეკოსისტემის ანალიზისა და გამოყენებითი სატყეო უნარების განვითარებას უწყობს ხელს. მევენახეობისა და ენოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ანალოგიურად აერთიანებს პრაქტიკულ და საწარმოზე ორიენტირებულ სწავლებას, მათ შორის პრაქტიკას შესაბამის პროფესიულ გარემოში და საბაკალავრო პროექტს, რაც სტუდენტებს მევენახეობის/მეღვინეობის თეორიის რეალურ საწარმოო პროცესებთან დაკავშირების საშუალებას აძლევს.

მაგისტრატურის დონეზე პროგრამები უფრო მეტ ყურადღებას კვლევაზე, დამოუკიდებელ ანალიზსა და პროფესიულ გადაწყვეტილების მიღებაზე ამახვილებენ. სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს საველე პრაქტიკას და 30-კრედიტიან ნაშრომს, ხოლო მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა საველე და საწარმოო პრაქტიკას 30-კრედიტიან ნაშრომთან აერთიანებს. ინგლისურენოვანი მევენახეობისა და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს საველე და საწარმოო პრაქტიკას და უფრო ფართო კვლევით კომპონენტს, რაც 45-კრედიტიან ნაშრომშია ასახული. ეს ელემენტები შესაბამისია მეორე საფეხურის განათლებისთვის და კვლევის, კრიტიკული ანალიზის, პრობლემების გადაჭრისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე ვიზიტის დროს შესაძლებლობა ჰქონდა, შეესწავლა პროგრამის პრაქტიკული სწავლების პარტნიორებსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები. გარდა ამისა, ამ პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა მათი სურვილი, გაეგრძელებინათ თანამშრომლობა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია, რომ ეს თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები ოფიციალურად დარეგულირდეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შესაბამისი სამართლებრივი ხელშეკრულებებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული სწავლების კომპონენტის მდგრადობა და სამართლებრივი სიცხადე.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o თვითშეფასების ანგარიში
o საგანმანათლებლო პროგრამები და მიღების წინაპირობა
o პროგრამის დოკუმენტაცია და სასწავლო პროგრამები
o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	რეკომენდებულია, ოფიციალურად განისაზღვროს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის არსებული თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძველი და სათანადოდ დარეგულირდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმების გზით.	სასურველია, უსდ-მ გააგრძელოს, გააძლიეროს და დოკუმენტურად გააფორმოს თანამშრომლობა სატყეო ორგანიზაციებთან, ღვინის ქარხნებთან, ლაბორატორიებთან, საწარმოებთან და სხვა შესაბამის დამსაქმებლებთან, რათა გაფართოვდეს სტუდენტთათვის პრაქტიკის, სტაჟირების, საველე სამუშაოებისა და გამოყენებითი კვლევის შესაძლებლობები. სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, უსდ-მ გააფართოოს სასწავლო საველე ვიზიტების შესაძლებლობები, ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები დარგის პროფესიონალების მონაწილეობით და დანერგოს პრაქტიკაზე ორიენტირებული მენტორობის მექანიზმები, განსაკუთრებით სატყეო საქმისა და მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამებზე.

სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		სასურველია, შემუშავდეს მენტორობის პროგრამები, რომლებიც სტუდენტებს დააკავშირებს დარგის პროფესიონალებთან, რაც გაუმჯობესებს სწავლის პროცესს და ხელს შეუწყობს კარიერული მიმართულების განსაზღვრას. სასურველია, ჩატარდეს სემინარები ტყის მართვისა და კონსერვაციის სტრატეგიების შესახებ დარგის ექსპერტების მონაწილეობით, პრაქტიკული ცოდნის გაზიარების მიზნით. სასურველია, გაძლიერდეს თანამშრომლობა სატყეო სფეროს წამყვან ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას დარგის თანამედროვე საჭიროებებთან. ამის მიღწევა შესაძლებელია ლექტორების მოწვევით, ერთობლივი კვლევითი პროექტებითა და სტაჟირების შესაძლებლობებით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს უშუალოდ მიიღონ დარგში მუშაობის გამოცდილება.
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა		სასურველია, ჩატარდეს სემინარები ტყის მართვისა და კონსერვაციის სტრატეგიების შესახებ დარგის ექსპერტების მონაწილეობით, პრაქტიკული ცოდნის გაზიარების მიზნით. სასურველია, დაწესებულებამ დაამყაროს პარტნიორობა სატყეო სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისა და რესურსების გაზიარების მიზნით, რაც ხელს

		შეუწყობს აკადემიური გამოცდილების გამდიდრებას. სასურველია, შემუშავდეს ტრენინგები (ვორქშოფები), რომლებიც მოიცავს ბუნების დაცვის სფეროში განვითარებად ტექნოლოგიებსა და მდგრადი მართვის თანამედროვე პრაქტიკებს, რათა პროგრამა შეესაბამებოდეს დარგის უახლეს მიღწევებსა და განვითარებას.
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა		სასურველია, შემუშავდეს ღვინის მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯმენტის ყოვლისმომცველი მოდული, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ღვინის ინდუსტრიაში საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული უნარები. სასურველია, შეიქმნას სპეციალიზებული ლაბორატორია ღვინის ანალიზისა და ყურძნის კულტივაციის კვლევების მიმართულებით, რაც გაზრდის სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობებს.
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)		სასურველია, შემუშავდეს ღვინის მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯმენტის ყოვლისმომცველი მოდული, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ ღვინის ინდუსტრიაში საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული უნარები. სასურველია, შეიქმნას სპეციალიზებული ლაბორატორია ღვინის ანალიზისა და ყურძნის კულტივაციის კვლევების მიმართულებით, რაც გაზრდის სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შეფასება**
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები, როგორც წესი, სტუდენტზეა ორიენტირებული და შეესაბამება დარგის სპეციფიკას, პროგრამის დონეს, კურსის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. სასწავლო პროგრამები ითვალისწინებს ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ/ლაბორატორიულ სამუშაოებს, საველე სამუშაოებს, დამოუკიდებელ სამუშაოებს, პროექტებზე დაფუძნებული დავალებებს, პრეზენტაციებს, დისკუსიებს, შემთხვევის ანალიზსა და კვლევასთან/დისერტაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

მეთოდები სწავლების დონეების შესაბამისად არის დიფერენცირებული. ბაკალავრიატის დონეზე სწავლების მეთოდები ფოკუსირებულია საბაზისო ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, აუდიტორიული სწავლების, პრაქტიკული დავალებების და საველე/საწარმოო გამოცდილების კომბინაციის გზით. მაგისტრატურის დონეზე მეთოდები უფრო მეტ ყურადღებას კვლევაზე, დამოუკიდებელ ანალიზზე, ექსპერიმენტულ დაგეგმვაზე, კრიტიკულ დისკუსიაზე, პროფესიულ შეფასებასა და დისერტაციის შემუშავებაზე ამახვილებს. ეს პროგრესი შესაბამისობაშია პირველი და მეორე ციკლის სწავლის შედეგებს შორის განსხვავებასთან.

პრაქტიკული და საველე მეთოდების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატყეო საქმისა და მევენახეობა/მეღვინეობისთვის, სადაც პროფესიული კომპეტენციები დამოკიდებულია სტუდენტების უნარზე, გამოიყენონ თეორიული ცოდნა ბუნებრივ, ლაბორატორიულ და საწარმოო გარემოში. შესაბამისად, სწავლებისა და სწავლის ამჟამინდელი მეთოდები სასურველი სასწავლო შედეგების მიღწევას ხელს უწყობს. მიუხედავად ამისა, პროგრამებს შეუძლიათ ისარგებლონ პროექტებზე დაფუძნებული სწავლების, ციფრული რესურსებისა და ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სასწავლო ინსტრუმენტების უფრო სისტემატური გამოყენებით, განსაკუთრებით პრაქტიკის პროცესის დოკუმენტირების, დამოუკიდებელი სწავლების მხარდაჭერისა და სასწავლო მასალებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o თვითშეფასების ანგარიში

o საგანმანათლებლო პროგრამები და მიღების წინაპირობა

o პროგრამის დოკუმენტაცია და სასწავლო პროგრამები

o ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**<u>რეკომენდაციები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**<u>რჩევები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		სასურველია, უსდ-მ უფრო სისტემატურად გამოიყენოს ციფრული რესურსები და ონლაინ პლატფორმები სწავლების, დამოუკიდებელი სწავლისა და პრაქტიკის დოკუმენტაციის მხარდასაჭერად, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ციფრული პრაქტიკის დღიურები, ვირტუალური საველე/ვენახის მასალები და/ან ონლაინ სასწავლო რესურსები. სასურველია, ყველა პროგრამაში წახალისდეს პროექტზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარებისა და რეალურ გარემოში პრობლემების გადაჭრის კომპეტენციის განვითარებას.
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა		
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)		

შეფასება

კომპონენტი **2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები**	**შეფასება**
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტების შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება შესაბამისი სასწავლო გეგმის ფარგლებში მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით ხორციელდება. შეფასების ეს პროცედურები საფუძვლიანად არის დოკუმენტირებული და მოქმედ სამართლებრივ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია.

გარდა ამისა, შეფასების კონკრეტული ფორმატები თითოეული კურსის თემატიკაზეა მორგებული, რითაც უზრუნველყოფილია სასწავლო მიზნების ზუსტი გაზომვა.

მაგისტრატურის პროგრამები დისერტაციების დაცვისა და შეფასების მაღალი გამჭვირვალეობითა და სამართლიანობით გამოირჩევა. შეფასების მეთოდოლოგია ოფიციალურად დანიშნული დაცვის კომიტეტის მიერ ჩატარებულ კოლეგიალურ შეფასებას ეფუძნება. ეს კომისიაზე დაფუძნებული სტრუქტურა იცავს ობიექტურობასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი შედეგების ყოვლისმომცველ ანალიზს და ამავდროულად ეფექტურად ამცირებს

ინდივიდუალურ მიკერძოებას. გარდა ამისა, კომიტეტის მიერ გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები მკაფიოდ არის სტრუქტურირებული და სტუდენტებს წინასწარ ეცნობებათ. ინფორმაციის წინასწარ მიწოდება უზრუნველყოფს, რომ დაცვის პროცესი ყველა კანდიდატისთვის სამართლიანი და გამჭვირვალე დარჩეს, რაც მათი კომპეტენციების სტანდარტიზებული და ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა. სტუდენტების შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები თითოეული სასწავლო კურსის პროგრამაში ნათლად და ზუსტად არის განსაზღვრული. სტუდენტებთან ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ეს სასწავლო პროგრამები სასწავლო სემესტრის დაწყებამდე მათთვის სრულად ხელმისაწვდომია.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ შუალედური და საბოლოო შეფასებებზე სტუდენტებისთვის მიწოდებული უკუკავშირი ძირითადად ზოგადია და არა ინდივიდუალური, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. რამდენიმე ლექტორმა აღნიშნა, რომ ისინი გამოცდის შემდეგ, ტესტის კითხვებთან დაკავშირებით, კოლექტიურ დისკუსიებს ატარებენ. თუმცა, ეს ფორმატი ცალკეულ სტუდენტს ლექტორის მიერ პერსონალიზებული უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას ართმევს. მათი ძლიერი აკადემიური მხარეების და გასაუმჯობესებელი მიმართულებების დასადგენად, აუცილებელია, რომ სტუდენტებმა დროული და ინდივიდუალური უკუკავშირი მიიღონ, სულ მცირე ზეპირი ფორმით, თუმცა დეტალური წერილობითი უკუკავშირი უაღრესად სასურველი სტანდარტია. რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შექმნას და დანერგოს სტანდარტიზებული მექანიზმი, რომ ყველა კურსის ფარგლებში, ყველა სტუდენტმა შუალედური და საბოლოო შეფასებებზე მუდმივად მიიღოს დროული და ინდივიდუალური უკუკავშირი.

პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება სავალდებულო კომპონენტია. ამ პროცესის რეგულირებისთვის, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ოფიციალურად მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „ინსტრუქციები სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების შესახებ“. როგორც კურსდამთავრებულებთან, ასევე ალუმნებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ კვლევის დაწყებამდე ისინი ხელმძღვანელობენ აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული ინსტრუქციებით. შესაბამისად, ამ ინსტრუქციებში ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, მოცემული დებულებების შესაბამისად.

გარდა ამისა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგა ყოვლისმომცველი ნორმატიული პოლიტიკა, რომელიც აკადემიური ეთიკისა და დისციპლინის დარღვევებთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობასა და დისციპლინურ ზომებს არეგულირებს. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალზე, ასევე, ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა). დოკუმენტი ცალსახად განსაზღვრავს:

- აკადემიური ეთიკის დარღვევების პრევენციის პროცედურებსა და მექანიზმებს;
- პლაგიატის გამოვლენის კონკრეტულ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს;
- პლაგიატის გამოვლენის იდენტიფიცირებული შემთხვევების მოგვარების ოქმებსა და შესაბამის სანქციებს, აკადემიური კეთილსინდისიერების სხვა საკითხებთან ერთად.

ადგილზე ვიზიტების დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტები პლაგიატის შედეგების შესახებ კარგად არიან ინფორმირებული. მიუხედავად ამისა, ინსტიტუციური ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა ავლენს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების მარეგულირებელი პოლიტიკის არარსებობას. ეს ნორმატიული ხარვეზი სტუდენტების შეფასების პროცესის სანდოობისთვის, ვალიდურობისთვის და საერთო მთლიანობისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს. რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ თავისი ყოვლისმომცველი აკადემიური კეთილსინდისიერების სისტემაში შეიმუშაოს და ოფიციალურად ჩართოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების მარეგულირებელი ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლის „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ მე-6 მუხლი ფორმალურად განსაზღვრავს ქულების გასაჩივრების პროცედურას, მისი პრაქტიკული განხორციელება დაუსაბუთებელი რჩება. დაახლოებით 20 მონაწილესთან ინტერვიუს დროს, რომელთა შორის იყვნენ როგორც ამჟამინდელი სტუდენტები, ასევე, კურსდამთავრებულები, რესპონდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ სააპელაციო პროცესს; თუმცა, არცერთმა არ განაცხადა, ოდესმე თუ გამოუყენებია იგი. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ამ მექანიზმის პრაქტიკული გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები, რაც დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო. სტუდენტების პრაქტიკული ჩართულობის სრული არარსებობა, დაწესებულების მიერ დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის შეუძლებლობასთან ერთად, იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სტუდენტის ქულების გასაჩივრების მექანიზმი მხოლოდ ნომინალურია. შესაბამისად, ის ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტის ფუნქციურ მოთხოვნებს. რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა სასწავლებელმა აამოქმედოს სტუდენტის ქულების გასაჩივრების ფუნქციური მექანიზმი, უზრუნველყოს მისი რეალურად განხორციელება და პრაქტიკაში ეფექტურად შესრულება.

უმაღლესმა სასწავლებელმა წარმოადგინა საკმარისი და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ სტუდენტების შეფასების შედეგები სისტემატურად არის გაანალიზებული და პრაქტიკულად გამოიყენება სწავლებისა და სწავლის გარემოს გასაუმჯობესებლად. ვინაიდან ამჟამად აკრედიტაციის პროცესში მყოფი პროგრამები ჯერ არ არის ამოქმედებული, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული საგანმანათლებლო პროგრამის (ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) სწავლის შედეგების შუალედური შეფასებები რეპრეზენტატიული შერჩევის სახით. ეს დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების კომბინაციას იყენებს. შეფასების მეთოდოლოგია აგებულია ოთხ ძირითად ინდიკატორზე: სტუდენტების ჩარიცხვისა და დამთავრების რაოდენობრივი მაჩვენებლები, აკადემიური მოსწრების თვისებრივი შეფასებები, მაგისტრატურის პროგრამებზე გადასვლის ტემპები და დარგობრივი დასაქმების სტატისტიკა, რომელიც შეესაბამება მინიჭებულ კვალიფიკაციას.

წარმოდგენილი ანალიტიკური ანგარიში ნათლად აჩვენებს, რომ შეგროვებული მონაცემები არა მხოლოდ სტატისტიკურ ჩანაწერებს ემსახურება; იგი გამოიყენება პროგრამული სისუსტეების დიაგნოსტიკისა და მიზნობრივი გაუმჯობესების სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად. მაგალითად, მეოთხე ინდიკატორის მეშვეობით დარგობრივი დასაქმების შედარებით დაბალი 18%-იანი მაჩვენებლის იდენტიფიცირების შემდეგ ანგარიში წინასწარ მიუთითებს პოტენციურ დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერების აუცილებლობაზე. გარდა ამისა, დაწესებულება იყენებს აკადემიური შეფასებების თვისებრივ ანალიზს - რომელიც აჩვენებს ნორმალურ გაუსის განაწილებას - ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების სირთულის, შეფასების მეთოდოლოგიების შესაბამისობისა და აკადემიური პერსონალის პედაგოგიური ეფექტურობის სისტემატურად შესაფასებლად.

უმნიშვნელოვანესია, რომ დოკუმენტაცია ქმნის სრულად ფუნქციონალურ ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, რომელიც ნათლად აღწერს, თუ როგორ განსაზღვრავს სწავლის შედეგების უწყვეტი შეფასება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ცვლილებებს პროგრამის შინაარსში, წინაპირობებში, კურსების თანმიმდევრობასა და შეფასების ზოგად ჩარჩოში.

სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ადგილზე ჩატარებულმა გასაუბრებებმა აჩვენა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამჟამად ონლაინ გამოცდებს არ ატარებს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო გეგმები;
- უმაღლეს სასწავლებელში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- სასწავლო პროცესის რეგულაციები;
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია;

- სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების (დოქტორანტები/მაგისტრები/ბაკალავრები) მიერ აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის წესი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს სტანდარტიზებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტმა დროულად და ინდივიდუალურად მიიღოს უკუკავშირი, ყველა კურსის შუალედურ და საბოლოო შეფასებებთან დაკავშირებით. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს და აკადემიური კეთილსინდისიერების მარეგულირებელ ჩარჩოში ოფიციალურად ასახოს ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც არეგულირებს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების ეთიკურ გამოყენებას. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ აამოქმედოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების ქმედითი მექანიზმი, უზრუნველყოს პრაქტიკაში მისი რეალური განხორციელება და დანიშნულებისამებრ ეფექტიანი ფუნქციონირება.	

სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა		
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4. სტუდენტების შეფასება	**შეფასება**
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

ამჟამინდელ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მენეჯერი ან კოორდინატორი არ არსებობს. ამჟამად, ამ როლთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს დეკანი და დეკანის მოადგილე ასრულებენ. ამ სტრუქტურული ხარვეზის მიუხედავად, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის ბარიერები არ შექმნიათ და აღნიშნეს, რომ ისინი სათანადო და დროულ კონსულტაციებს იღებენ. გარდა ამისა, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტები აქტიურად ურთიერთობენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამატებითი მხარდაჭერისთვის. თუმცა, სტუდენტური დახმარების სერვისების გრძელვადიანი მდგრადობისა და ოპერატიული ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, რომ ფაკულტეტმა უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მენეჯერის ან კოორდინატორის როლის ინსტიტუციონალიზაცია. ასევე, რეკომენდებულია კურსდამთავრებულთა ძლიერი ქსელის შექმნა, რათა ხელი შეუწყოს ამჟამინდელი სტუდენტებისთვის მენტორობის შესაძლებლობებსა და კარიერულ წინსვლას.

ამ ადმინისტრაციული ფუნქციების დელეგირება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანმიმდევრულ, ინდივიდუალურ მხარდაჭერას ადმინისტრაციული დატვირთვის ცვალებადობის მიუხედავად, რაც დეკანს და დეკანის მოადგილეს საშუალებას მისცემს ფაკულტეტის სტრატეგიულ და აკადემიურ მმართველობაზე უფრო ეფექტურად კონცენტრირდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს სტუდენტური პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური და აწყობს პერიოდულ დასაქმების ფორუმებს. ადგილზე ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია ამ სამსახურის შესახებ. გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ კარიერული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას ძირითადად დეკანის მოადგილე ავრცელებს. გარდა ამისა, მაგისტრატურის კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათი პროგრამის ხელმძღვანელი ხშირად უზიარებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ და შედეგად, რამდენიმე კურსდამთავრებული წარმატებით დასაქმდა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროაქტიული, ინდივიდუალური მხარდაჭერა ძალიან საქებარია, კარიერული მხარდაჭერის ამჟამინდელი ინსტიტუციური სტრუქტურა არაპროპორციულად ეყრდნობა კონკრეტულ პირებს და არა დანიშნულ სტრუქტურულ ერთეულს. რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სისტემურად გაზარდოს სტუდენტური პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის ხილვადობა და მისი ოპერატიული ეფექტურობა სტუდენტთა შორის, რითაც ცენტრალიზებული, სტრუქტურირებული და უნივერსალურად ხელმისაწვდომი კარიერული მხარდაჭერის მექანიზმი ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

აკადემიურ გარემოში შეუფერხებელი ადაპტაციისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად, სწავლის პირველი კვირის განმავლობაში, დეკანის ხელმძღვანელობით, ორიენტაციის სესიები ტარდება, რაც სტუდენტებს არსებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სერვისების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემო შესაბამისად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმ) საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და დაწესებულებას აქვს პრაქტიკული გამოცდიილება ამ სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესში ეფექტური ინტეგრირების მიმართულებით.

ადგილზე ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაცია არაფორმალურ სოციალურ მედია არხებზე, კერძოდ, Facebook ჯგუფებზე დიდწილად არის დამოკიდებული. გარდა ამისა, ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის მისამართები ავტომატურად არ მიეწოდება რეგისტრაციისთანავე; ამის ნაცვლად, სტუდენტებს მოეთხოვებათ მის მისაღებად თავად მიმართონ IT დეპარტამენტს. ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციამ სისტემატურად მიაწოდოს კორპორატიული (ინსტიტუციური) ელექტრონული ფოსტის მისამართები ყველა ჩარიცხულ სტუდენტს და ოფიციალურად მოითხოვოს, რომ ყველა ოფიციალური აკადემიური და ადმინისტრაციული კორესპონდენცია მხოლოდ ამ ინსტიტუციური ანგარიშების მეშვეობით განხორციელდეს.

სტუდენტური საზოგადოება კვლევით და შემეცნებით საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული. უმაღლესი სასწავლებელი აკადემიურ კონფერენციებს რეგულარულად მასპინძლობს. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ როგორც შიდა, ასევე, გარე ინსტიტუციურ ღონისძიებებში, რაც ამ ინიციატივების ყოვლისმომცველ ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე მიანიშნებს. მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ეროვნული დონის აკადემიურ კონფერენციებში, რაც უმაღლესი სასწავლებლის ფინანსური მხარდაჭერით არის

უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, გამოკითხულ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია არსებული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ რესპონდენტს პირადად არ გამოუყენებია ეს მობილობის შესაძლებლობები, მათთის ცნობილია ამ ინიციატივების პრაქტიკა, კერძოდ, მოჰყავთ მაგალითი თანატოლისა, რომელმაც წარმატებით მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში, ერთ-ერთ ევროპულ უნივერსიტეტში.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურის დებულება;
- უმაღლეს სასწავლებელში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		სასურველია, ფაკულტეტმა შექმნას სასწავლო პროცესის მენეჯერის/კოორდინატორის პოზიცია. სასურველია, უსდ-მ სისტემურად გაზარდოს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერული მართვის სამსახურის ცნობადობა და მისი საქმიანობის ეფექტიანობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება

		ცენტრალიზებული, სტრუქტურირებული და ყველა სტუდენტისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი კარიერული მხარდაჭერის მექანიზმი. სასურველია, უსდ-მ სისტემატურად მიაწოდოს ყველა სტუდენტს კორპორატიული (ინსტიტუციური) ელექტრონული ფოსტის მისამართები და სავალდებულო გახადოს, რომ ყველა აკადემიური და ადმინისტრაციული კომუნიკაცია განხორციელდეს მხოლოდ აღნიშნული ინსტიტუციური ანგარიშების გამოყენებით. სასურველია, შეიქმნას კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელიც ხელს შეუწყობს მოქმედი სტუდენტებისთვის მენტორობის შესაძლებლობების შექმნასა და კარიერულ წინსვლას. სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა და განიხილოს გაცვლითი პროგრამების დამატებითი შესაძლებლობები.
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა		
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა		
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)		

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შეფასება**
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და ენოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა	აირჩიეთ შესაბამისი
მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამის, მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის, მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი)

ინტერვიუების საფუძველზე, გამოვლინდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მაგისტრატურის სტუდენტებს კვლევის პროცესში აქტიურად რთავს, რაც მათ საშუალებას აძლევს კვლევითი თემები მათი პირადი ინტერესების შესაბამისად აირჩიონ. არჩეულ თემასთან შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს აკადემიური ხელმძღვანელის რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს.

ინტერვიუების შედეგები მიუთითებს ხელმძღვანელის ჩართულობის მაღალ დონეზე; ხელმძღვანელი პროცესის დასაწყისშივე წარადგენს აკადემიური სტილის მოთხოვნებს. გარდა ამისა, ისინი აქტიურად

ეხმარებიან სტუდენტებს ლიტერატურის მოძიებაში, ნაშრომის სტრუქტურის მომზადებასა და დახვეწაში, ასევე, ნაშრომის სხვადასხვა ნაწილზე სისტემატური წერილობითი და ზეპირი უკუკავშირის მიწოდებაში.

სტანდარტი ითვალისწინებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ხელმძღვანელის დანიშვნას, შეცვლას, უფლებებსა და მოვალეობებს დეტალურად აღწერს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტი „მაგისტრატურის პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ რაიმე ინფორმაციას აკადემიური ხელმძღვანელის ან მათი ნაშრომის თემის შეცვლის წესების ან პროცედურების შესახებ არ შეიცავს.

რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიტანოს ცვლილებები დოკუმენტში „მაგისტრატურის პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რათა მასში სტუდენტებისთვის აკადემიური ხელმძღვანელის შეცვლის და/ან სადიპლომო ნაშრომის თემის შეცვლის პროცესის მარეგულირებელი მკაფიო წესები და პროცედურები ნათლად იყოს მოცემული.

სტანდარტი მოითხოვს, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შექმნას მექანიზმები ხელმძღვანელის მუშაობის ხარისხის შესაფასებლად. პირიქით, სტუდენტებმა ცალსახად აღნიშნეს, რომ ისინი არ აფასებენ ხელმძღვანელის მიერ შესრულებულ სამუშაოს. რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხელმძღვანელის მუშაობის ხარისხის შესაფასებლად დანერგოს და განახორციელოს ოფიციალური შეფასების მექანიზმი.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 3 (სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა)[3]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**7**

[3] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

მაგისტრანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	-

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები **პროგრამა 4 (მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა)**[4]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**13**
მაგისტრანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	-

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები **პროგრამა 5 (მევენახეობის და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)**[5]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**5**
მაგისტრანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის, დამტკიცებისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- უმაღლეს სასწავლებელში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;
- თვითშეფასების ანგარიში.

[4] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[5] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	**<u>რეკომენდაციები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	**<u>რჩევები:</u>** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		
პროგრამა 3 (სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა)	რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (უსდ) შეიტანოს ცვლილებები დოკუმენტში „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რათა მასში მკაფიოდ აისახოს სტუდენტების მიერ აკადემიური ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლის პროცესის მარეგულირებელი წესები და პროცედურები. რეკომენდებულია, რომ უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს ფორმალური შეფასების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასებას.	
პროგრამა 4 (მევენახეობისა და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და განაახლოს დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის ცვლილების პროცედურები და შესაბამისი წესები. რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მკაფიო და სისტემური მექანიზმი.	

პროგრამა 5 (მევენახეობისა და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, ინგლისურენოვანი) მე-7 დონე	რეკომენდებულია, უსდ-მ გადახედოს და განაახლოს დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომ მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლისა და/ან სამაგისტრო ნაშრომის თემის ცვლილების პროცედურები და შესაბამისი წესები. რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს სამეცნიერო ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მკაფიო და სისტემური მექანიზმი.	

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი [3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა]	**შეფასება**
პროგრამა 3 (სატყეო საქმის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 4 (მევენახეობისა და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 (მევენახეობისა და ენოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, ინგლისურენოვანი) მე-7 დონე	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

პროგრამებს ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტმა წარადგინა ღია კონკურსის წესით აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და უსდ-ის წესდებას.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და უსდ-ის მიერ განსაზღვრულ წესებს. უნარები და კომპეტენციები შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის მოთხოვნებსა და მოლოდინებს, აგრეთვე, სწავლის შედეგებს.

ადგილზე ვიზიტი, წარმოდგენილ თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ადასტურებს, რომ სრულ პროფესორებს, ასოცირებულ პროფესორებსა და ასისტენტ-პროფესორებს ევალებათ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება რეცენზირებად და ინდექსირებულ ჟურნალებში სულ მცირე ორ წელიწადში ერთხელ, აგრეთვე არანაკლებ ორი სტატიისა ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალებში. გარდა ამისა, სავალდებულოა სამეცნიერო კონფერენციებში მთავარი მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურის გამოქვეყნების მოთხოვნასთან ერთად. ასევე, სავალდებულოა სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სივრცეში სასწავლო პროგრამების მდგრადი განხორციელების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა წარადგინა აკადემიური საბჭოს დადგენილება „საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგების დამტკიცების შესახებ“. მიუხედავად აღნიშნულისა, უნივერსიტეტს ჯერ არ ჰქონდა დასრულებული ხელშეკრულებების გაფორმება შერჩეულ აკადემიურ პერსონალთან, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი დოკუმენტაცია დეტალურად ვერ შეისწავლა.

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობრივი თანაფარდობა ადეკვატურია, შეესაბამება კლასტერის მასშტაბს და უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის საკმარისი დროის დათმობას. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვა ადეკვატურია, რომ

უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი დროის გამოყოფა როგორც სწავლების, ისე სხვა აკადემიური საქმიანობისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, სასწავლო პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის რესურსის გაძლიერება, რაც შეამცირებს ინსტიტუციურ მოწყვლადობას პერსონალის გაუთვალისწინებელი აცდენის/არყოფნის შემთხვევაში და უზრუნველყოფს უშუალოდ პროგრამის მდგრადობას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 'სატყეო საქმე'

უნივერსიტეტმა წარადგინა პროგრამაში ჩართული 34 აკადემიური პერსონალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელთაგან 21 პროფესორია, 6 — ასოცირებული პროფესორი, 1 — ასისტენტ-პროფესორი, 4 — მოწვეული პროფესორი და 2 — მოწვეული ასოცირებული პროფესორი. პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ისე უსდ-ის შიდა რეგულაციებს. პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რაც შეესაბამება უსდ- ს შიდა რეგულაციებს პროგრამის ხელმძღვანელობის სტატუსის შესახებ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'სატყეო საქმე'

უნივერსიტეტმა წარადგინა პროგრამაში ჩართული 12 აკადემიური პერსონალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელთაგან 8 პროფესორია, 2 — ასოცირებული პროფესორი, 1 — მოწვეული პროფესორი და 1 — მოწვეული ასოცირებული პროფესორი. პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ისე უსდ-ის შიდა რეგულაციებს. პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რაც შეესაბამება უსდ- ს შიდა რეგულაციებს პროგრამის ხელმძღვანელობის სტატუსის შესახებ.

ბაკალავრის პროგრამა 'მევენახეობა-მეღვინეობა':

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, პროგრამაში ჩართულია 46 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 26 პროფესორია, 8 — ასოცირებული პროფესორი, 3 — ასისტენტ-პროფესორი, 6 — მოწვეული პროფესორი, 2 — მოწვეული ასოცირებული პროფესორი და 1 — მეცნიერი. პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ისე უსდ-ის შიდა რეგულაციებს. პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რაც შეესაბამება უსდ - ს შიდა რეგულაციებს პროგრამის ხელმძღვანელობის სტატუსის შესახებ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა-მეღვინეობა':

უნივერსიტეტმა წარადგინა ინგლისურენოვან პროგრამაში ჩართული 8 აკადემიური პერსონალის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელთაგან 6 პროფესორია, 1 — ასოცირებული პროფესორი და 1 — მოწვეული პროფესორი. ქართულენოვან პროგრამაში სულ ჩართულია 8 თანამშრომელი, რომელთაგან 6 პროფესორია, 1 — ასოცირებული პროფესორი და 1 — მოწვეული პროფესორი. პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ისე უსდ-ის შიდა რეგულაციებს, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელების სტატუსის შესახებ უსდ-ის შიდა წესებს. პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილია კლასტერში შემავალი თითოეული პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა, ჩაშლილი პროგრამის პერსონალის, დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალისა და აფილირებული აკადემიური პერსონალის მიხედვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 'სატყეო საქმე'				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	34			
- პროფესორი	21			
- ასოცირებული პროფესორი	6			
- ასისტენტ–პროფესორი	1			
- ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	4+2			–
სამეცნიერო პერსონალი	0			–
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	0			

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'სატყეო საქმე'				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

			ხარისხის მქონე პერსონალი	
სულ აკადემიური პერსონალი	12			
- პროფესორი	8			
- ასოცირებული პროფესორი	2			
- ასისტენტ–პროფესორი	0			
- ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	1+1			–
სამეცნიერო პერსონალი	0			–
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	0			

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა-მეღვინეობა'				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	46			
- პროფესორი	26			
- ასოცირებული პროფესორი	8			
- ასისტენტ–პროფესორი	3			
- ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	6+2			–
სამეცნიერო პერსონალი	1			–
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა-მეღვინეობა'

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**8**			
- პროფესორი	6			
- ასოცირებული პროფესორი	1			
- ასისტენტ–პროფესორი	0			
- ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	1			–
სამეცნიერო პერსონალი	0			–
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	0			

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 'მევენახეობა-მეღვინეობა'				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**16**			
- პროფესორი	4			
- ასოცირებული პროფესორი	4			
- ასისტენტ–პროფესორი	0			
- ასისტენტი	-			
მოწვეული პერსონალი	8			
სამეცნიერო პერსონალი	-			
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	-			

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ავტობიოგრაფიები (CV), დიპლომები და პუბლიკაციების სიები
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რჩევები:		პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის, სტაბილურობისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის პოტენციალი, რითაც შემცირდება დაწესებულების დამოკიდებულება ცალკეულ თანამშრომლებზე და გაძლიერდება მისი მდგრადობა პერსონალის მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში.
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა		
მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა		
მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო		

საგანმანათლებლო პროგრამა		
მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შეფასება**
სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია
სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესაბამისობაშია
მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	შესაბამოსობაშია

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ - ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან

გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;

- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტმა წარადგინა სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად, ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორი, ემერიტუსი ან უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. ხელმძღვანელი ასევე შეიძლება იყოს პარტნიორი უსდ-ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. თითოეული ხელმძღვანელი სტუდენტთან ერთად ადგენს პირად სამუშაო გეგმას (ინდივიდუალურ გეგმას), რომელიც განსაზღვრავს კვლევის თემატიკას, სტუდენტის მიერ გასავლელ სავალდებულო სასწავლო კურსებს, აგრეთვე, სადისერტაციო ნაშრომისთვის საჭირო სხვა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას ნაშრომის დაცვისთვის.

ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა ფაკულტეტის პრაქტიკა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის საინფორმაციო და საორიენტაციის შეხვედრების ორგანიზების თაობაზე. აღნიშნული შეხვედრები უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას ფაკულტეტის მიმდინარე კვლევების აქტუალობასა და კვლევით პრიორიტეტებზე; ამასთანავე, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, პოტენციურ ხელმძღვანელებს წარუდგინონ საკუთარი კვლევითი ინტერესები.

უსდ-მ წარადგინა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულებები, რაც სტუდენტებს სთავაზობს სფეროების ფართო არჩევანს პოტენციური სადისერტაციო თემის შესარჩევად.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — სატყეო საქმე

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ პროგრამას აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის მარეგულირებელი ჩარჩო. უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება შერჩეულ იქნეს აკადემიური პერსონალიდან (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტებიდან, რომლებიც ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს და შესაბამის კვალიფიკაციას შესაბამის დარგობრივ სფეროში. ნაშრომის თემების შერჩევისა და ხელმძღვანელების დანიშვნის პროცესი ოფიციალურად არის გაწერილი ფაკულტეტის პროცედურებსა და უნივერსიტეტის რეგულაციებში. ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან გაუწიონ აკადემიური კონსულტირება/ხელმძღვანელობა სტუდენტს ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტის აკადემიური დატვირთვის რეგულაციები განსაზღვრავს თითოეული ხელმძღვანელის მიერ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის რაოდენობას (მაგისტრანტთა ლიმიტს), რაც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ხარისხის უზრუნველყოფას.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მოიცავს პროფესორებსა და ასოცირებულ პროფესორებს, რომლებსაც აქვთ ექსპერტიზა (გამოცდილება) სატყეო საქმისა და მომიჯნავე სფეროებში. არსებული ადამიანური რესურსი საკმარისია, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დარგობრივი და მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამაგისტრო კვლევითი პროექტებისთვის. 30 ECTS კრედიტისგან შემადგენელი კვლევითი კომპონენტის არსებობა ადასტურებს პროგრამის განზრახვას, განუვითაროს სტუდენტებს კვლევითი კომპეტენციები და დამოუკიდებელი ანალიტიკური უნარები.

ამასთანავე, პროგრამა ახლად შექმნილია (ახალი აკრედიტირებულია) და მას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები, სადისერტაციო/სამაგისტრო ნაშრომები ჯერ არ შესრულებულა. შესაბამისად, არ არსებობს ემპირიული მტკიცებულებები ხელმძღვანელობის პრაქტიკის ეფექტიანობის, პრაქტიკულ განხორციელებაში სტუდენტისა და ხელმძღვანელის რაოდენობრივი თანაფარდობის, ნაშრომის ხარისხის, სწავლის დასრულების მაჩვენებლის, სტუდენტთა კმაყოფილებისა თუ პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო/კვლევითი პროდუქტიულობის შესახებ. ამრიგად, ექსპერტთა პანელმა პროგრამა შეაფასა ძირითადად შეთავაზებული მექანიზმებისა და ინსტიტუციური

შესაძლებლობების (მოცულობის) საფუძველზე და არა ნაჩვენები/დადასტურებული შედეგების მიხედვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა-მეღვინეობა

პროგრამა იზიარებს იმ ინსტიტუციურ ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელების დანიშვნის კრიტერიუმები, პასუხისმგებლობების გადანაწილება, ნაშრომის თემების დამტკიცება და ხელმძღვანელობის აკადემიური დატვირთვა მკაფიოდ არის განსაზღვრული დაწესებულების შიდა რეგულაციებით. ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან ფლობდნენ შესაბამის კვალიფიკაციას და უზრუნველყონ უწყვეტი აკადემიური მხარდაჭერა ნაშრომის მომზადების მთელი პროცესის განმავლობაში. დადგენილი ჩარჩო ქმნის აუცილებელ პროცედურულ საფუძველს ეფექტიანი ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამას ახორციელებს აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია მევენახეობის, მეღვინეობისა და მომიჯნავე დისციპლინების/დარგების მიმართულებით. პროგრამის პროფილი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს მევენახეობისა და მეღვინეობის გამოყენებით და სამეცნიერო ასპექტებზე, მათ შორის ლაბორატორიულ ანალიზზე, წარმოების ტექნოლოგიებზე, ხარისხის შეფასებასა და დამოუკიდებელ კვლევაზე. 30 - კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში აკადემიური ხელმძღვანელობის ქვეშ.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობის მექანიზმები/პროცედურები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, განსაკუთრებით ანალიტიკური, კვლევითი და ინოვაციაზე ორიენტირებული კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით. თუმცა, ვინაიდან პროგრამა ახლადშექმნილია (ახალი ამოქმედებულია), ხელმძღვანელობის ფაქტობრივ/რეალურ პრაქტიკასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის. ამ ეტაპზე არ არსებობს ინფორმაცია სტუდენტისა და ხელმძღვანელის რაოდენობრივი თანაფარდობის, ხელმძღვანელობის ეფექტიანობის, სამაგისტრო ნაშრომების წარმატებით დაცვის/დასრულების, პუბლიკაციების სახით მიღებული შედეგებისა თუ ხელმძღვანელობით სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ.

არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამას გააჩნია ადეკვატური ადამიანური რესურსი და ინსტიტუციური მექანიზმები კვალიფიციური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად. ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტიანობა დამატებით უნდა გადამოწმდეს მას შემდეგ, რაც პროგრამა განხორციელების ერთ სრულ ციკლს გაივლის.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა - მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)

პროგრამა იზიარებს იმ ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასშტაბით. ხელმძღვანელები ინიშნებიან მკაფიოდ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად და მოეთხოვებათ შესაბამისი სამეცნიერო კვალიფიკაცია. აკადემიური დატვირთვის მოდელი ზღუდავს ხელმძღვანელობაზე დასაშვები სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობას, რაც კვლევის მთელ პროცესში სტუდენტთა ჯეროვანი აკადემიური მხარდაჭერის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის საერთაშორისო კომპონენტი ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნებსა და მოლოდინებს კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობის მიმართ. პროგრამა მოიცავს მნიშვნელოვან კვლევით კომპონენტს, რომელიც 45 ECTS კრედიტს შეადგენს და მნიშვნელოვნად აღემატება კლასტერში შემავალი სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ კვლევით კომპონენტს. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ძლიერი კვლევითი კომპეტენციის, საერთაშორისო გამოცდილებისა და ინგლისურ ენაზე განხორციელებული კვლევის ხელმძღვანელობის უნარის მქონე ხელმძღვანელების ხელმისაწვდომობას.

შემოთავაზებული აკადემიური პერსონალის პროფილი, როგორც ჩანს, შესაბამისია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მხარდასაჭერად. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს პროგრამის საერთაშორისო ხასიათს, რომელიც ქმნის საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვისა და მევენახეობისა და მეღვინეობის მიმართულებით განხორციელებული კვლევითი საქმიანობის ხილვადობის გაზრდის შესაძლებლობებს. ამასთან, ვინაიდან პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ფაქტობრივ ხელმძღვანელობის პრაქტიკასთან, კვლევის შედეგებთან, საერთაშორისო თანახელმძღვანელობის მექანიზმებთან ან სამაგისტრო ნაშრომების დასრულების შედეგებთან დაკავშირებული მტკიცებულებები ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის.

პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის მასშტაბისა და მისი საერთაშორისო ორიენტაციის გათვალისწინებით, მუდმივი ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ ხელმძღვანელები აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში და კვლავაც ჰქონდეთ შესაძლებლობა, სტუდენტებს მხარდაჭერა გაუწიონ ინგლისურენოვან კვლევით გარემოში.

საერთო ჯამში, პანელი ასკვნის, რომ პროგრამა ქმნის კვალიფიციური ხელმძღვანელობის განხორციელებისთვის საკმარის პირობებს და აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**6**	**6**	
- პროფესორი	4	4	
- ასოცირებული პროფესორი	1	1	

[6] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

- ასისტენტ–პროფესორი	-	-	
მოწვეული პერსონალი	-	-	
სამეცნიერო პერსონალი	-	-	
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	-	-	

სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [7]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**	**7**	
- პროფესორი	5	5	
- ასოცირებული პროფესორი	1	1	
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	
მოწვეული პერსონალი	1	1	
სამეცნიერო პერსონალი	-	-	
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	-	-	

მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[7] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

		დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [8]	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	-	-	
- პროფესორი	-	-	
- ასოცირებული პროფესორი	-	-	
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	
მოწვეული პერსონალი	-	-	
სამეცნიერო პერსონალი	-	-	
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	-	-	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ავტობიოგრაფიები (CV), დიპლომები და პუბლიკაციების სიები
- აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია, დამტკიცებული სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება No253, 2010 წლის 14 მაისი)
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე,	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ

[8] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

	გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რჩევები:	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — სატყეო საქმე	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა-მეღვინეობა	არ არის მითითებული	არ არის მითითებული
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა - მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)	რეკომენდებულია, ფაკულტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლების მქონე პირების ჩამონათვალი.	არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი [4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია]	**შეფასება**
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — სატყეო საქმე	შესაბამისობაშია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა-მეღვინეობა	შესაბამისობაშია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა - მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

კლასტერს მხარს უჭერს ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, შეფასებასა და აკადემიურ კარიერულ წინსვლას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის, ეთიკური ქცევის, სამუშაო დატვირთვის განაწილების, აკადემიური თავისუფლებისა და პროფესიული მოვალეობების მარეგულირებელი პოლიტიკა და რეგულაციები. პროფესიული განვითარება აღიარებულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტად და მხარდაჭერილია ინსტიტუციური რეგულაციებით, საბიუჯეტო რესურსების გამოყოფით, ტრენინგის შესაძლებლობებით, კონფერენციებში მონაწილეობითა და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობებით.

ექსპერტები დადებითად აფასებენ იმ ფაქტს, რომ პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ტრენინგებში, პროფესიულ ფორუმებსა და პროფესიული განვითარების სხვა აქტივობებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების ფინანსურ მხარდაჭერას და ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც აკადემიურ პერსონალს საშუალებას აძლევს, რეგულარული პერიოდულობით ისარგებლოს სამეცნიერო შვებულებით, რითაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს პროფესიული ზრდისა და კვლევითი პროდუქტიულობისთვის.

დაწესებულებას ასევე აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს გამოკითხვებს, საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს. აკადემიური თავისუფლების, სამეცნიერო საქმიანობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ინსტიტუციური კულტურის არსებობა დადებითად მოქმედებს პროგრამის მდგრადობასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები ძირითადად პროცედურული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მექანიზმები და შესაძლებლობები აშკარად არსებობს, შეზღუდული მტკიცებულებებია წარმოდგენილი პროფესიული განვითარების შედეგების სისტემატური შეფასებისა და განვითარების

აქტივობების პირდაპირი გავლენის შესახებ სწავლების ხარისხზე, კვლევით პროდუქტიულობაზე, სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებასა და ინტერნაციონალიზაციაზე. გარდა ამისა, ანგარიშში აღიარებულია, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მექანიზმები ჯერ კიდევ სრულად არ არის განვითარებული.

იმის გათვალისწინებით, რომ კლასტერში შემავალი ყველა პროგრამა ახლადშექმნილია, პროგრამის დონეზე პერსონალის განვითარების შედეგების მტკიცებულება, ბუნებრივია, შეზღუდულია. თუმცა, არსებული ინსტიტუციური ჩარჩო იძლევა შესაძლებლობას მომავალში პერსონალის განვითარებისა და პროგრამების გაუმჯობესებისთვის, თუ ეს სისტემატურად და თანმიმდევრულად განხორციელდება.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე

პროგრამას ახორციელებს დიდი და მრავალფეროვანი აკადემიური გუნდი, რომელიც შედგება აფილირებული და მოწვეული პერსონალისგან, რომლებსაც აქვთ სატყეო საქმისა და მასთან დაკავშირებული დისციპლინების შესაბამისი კვალიფიკაცია. პანელი მიიჩნევს, რომ პროგრამა სარგებლობს უნივერსიტეტის პროფესიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საერთო სისტემით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სატყეო სფერო ხასიათდება მდგრადი ტყემართვის, გეოინფორმაციული სისტემების (GIS) გამოყენების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, ეკოსისტემური მომსახურებებისა და კლიმატთან ადაპტაციის სწრაფად განვითარებადი მიდგომებით. პროგრამის აკადემიური პერსონალი მზადყოფნას ავლენს აღნიშნული სიახლეების სასწავლო საქმიანობაში დასანერგად. უნივერსიტეტის მხარდაჭერა კონფერენციებში მონაწილეობის, კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით დამატებით უწყობს ხელს პერსონალის კომპეტენციების შენარჩუნებას.

მთლიანობაში, კომისია მიიჩნევს, რომ პერსონალის განვითარების შესაძლებლობები ადეკვატურია პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მისაღწევად.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა

პროგრამას მხარს უჭერს აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია მევენახეობის, მეღვინეობის, აგრარული მეცნიერებებისა და მომიჯნავე დისციპლინების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამა სარგებლობს უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების მექანიზმებით, რომლებიც პერსონალს სამეცნიერო და პროფესიულ საქმიანობაში ჩართულობის შესაძლებლობებს სთავაზობს.

ღვინის ინდუსტრიის დინამიკური განვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პერსონალის მუდმივი ზიარება საერთაშორისო ტენდენციებთან, ტექნოლოგიურ ინოვაციებთან, მდგრადობის მოთხოვნებსა და დარგობრივ პრაქტიკებთან. არსებული მტკიცებულებები მოწმობს აღნიშნულ ინსტიტუციურ მხარდაჭერას, თუმცა შედეგების შესახებ სისტემური მონაცემები შემდგომ გაუმჯობესებას ექვემდებარება.

მთლიანობაში, პერსონალის განვითარებისთვის შექმნილი გარემო სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — სატყეო საქმე

პროგრამას ახორციელებს აკადემიური კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს სამაგისტრო საფეხურის სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა. უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ჩარჩო ხელს უწყობს პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნებასა და ამაღლებას.

პროგრამის კვლევითი მიმართულება მოითხოვს მუდმივ აკადემიურ ჩართულობას სატყეო სფეროში არსებულ თანამედროვე კვლევებში, პოლიტიკის განვითარების პროცესებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციებში. მტკიცებულებები მოწმობს, რომ აკადემიური პერსონალი მონაწილეობს ისეთ კვლევითსა და პროფესიულ საქმიანობაში, რომელიც აღნიშნული მიზნის მიღწევას უწყობს ხელს. თუმცა, სამაგისტრო საფეხურის განათლების მხარდასაჭერად, მიზანშეწონილია, პროგრამამ კიდევ უფრო გააძლიეროს საერთაშორისო კვლევითი ჩართულობა და საგამომცემლო საქმიანობა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა

პროგრამას ახორციელებს გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება პროგრამის სპეციალიზებულ პროფილს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის განვითარების შესაძლებლობებს სამეცნიერო ღონისძიებების, ტრენინგ-

პროგრამებისა და კვლევის მხარდაჭერის მექანიზმების მეშვეობით. პროგრამის კვლევითი ხასიათისა და მეღვინეობის სექტორში არსებული მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუდმივი აკადემიური ჩართულობა ინდუსტრიულ ინოვაციებში, მდგრადი განვითარების საკითხებში, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებსა და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინსტიტუციური ჩარჩო უზრუნველყოფს საკმარის შესაძლებლობებს აღნიშნული განვითარებისთვის. მთლიანობაში, პერსონალის განვითარების მექანიზმები სათანადოდ უწყობს ხელს პროგრამის განხორციელებას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა - მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)

პროგრამის საერთაშორისო მიმართულება დამატებით აქცენტს აკეთებს პერსონალის კვალიფიკაციაზე, საერთაშორისო გამოცდილებასა და ინგლისურ ენაზე სწავლების კომპეტენციებზე. ექსპერტთა ჯგუფიმიიჩნევს, რომ პროგრამას მხარს უჭერს აკადემიური პერსონალი, რომლის კვალიფიკაციაც, ზოგადად, შეესაბამება პროგრამის პროფილსა და სწავლის დასახულ შედეგებს. უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების გარემო პერსონალს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ღონისძიებებში, განავითაროს კვლევითი კომპეტენციები და შეინარჩუნოს დარგობრივი ექსპერტიზა. აღნიშნული შესაძლებლობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინგლისურენოვანი პროგრამისთვის, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვასა და საერთაშორისო აქტუალობის შენარჩუნებას.

მართალია, ინსტიტუციური ჩარჩო შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მაგრამ საერთაშორისო სამეცნიერო ჩართულობაზე, საგამომცემლო აქტივობასა და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობაზე შემდგომი ფოკუსირება კიდევ უფრო განამტკიცებს პროგრამის საერთაშორისო პროფილს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის შეფასებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- პროფესიული განვითარების ტრენინგების, გაცვლითი პროექტების და მსგავსი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებისა და კვლევის მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ პერსონალის ინფორმირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტი

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რჩევები:	რეკომენდებულია, შემუშავდეს სისტემური მექანიზმი, რომელიც შეაფასებს პროფესიული განვითარების აქტივობების გავლენას სწავლების ხარისხზე, კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობაზე, სასწავლო გეგმის ინოვაციურ განახლებასა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე.	სასურველია, აკადემიური პერსონალისთვის დაინერგოს ყოველწლიური განვითარების გეგმები, რომლებიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, შესაბამისი დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან და ინტერნაციონალიზაციის მიზნებთან. სასურველია, კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო კვლევით პროექტებში, საგრანტო განაცხადების მომზადებასა და აკადემიური მობილობის ინიციატივებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე		სასურველია, წახალისდეს პროგრამის პერსონალის უფრო აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სატყეო ქსელებსა და გამოყენებით სატყეო კვლევით ინიციატივებში.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა - და მეღვინეობა		სასურველია, გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო მევენახეობისა და მეღვინეობის ასოციაციებში და გაძლიერდეს თანამშრომლობა დარგის პარტნიორებთან, გამოყენებითი საქმიანობის მიმართულებით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — სატყეო საქმე		სასურველია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო სატყეო კვლევით პროექტებსა და ერთობლივ სამეცნიერო პუბლიკაციებში.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა დამეღვინეობა		სასურველია, წახალისდეს პროგრამის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა მეღვინეობისა და მევენახეობის სფეროს საერთაშორისო კვლევით კონსორციუმებში, ინდუსტრიისა და აკადემიური სფეროს ერთობლივ პროექტებსა და კონკურენტულ საგრანტო პროგრამებში.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა და მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)		სასურველია, კიდევ უფრო გაძლიერდეს პერსონალის ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი კვლევითი პროექტების, აკადემიური მობილობისა და უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გზით, რომლებიც ახორციელებენ მსგავსი მიმართულების პროგრამებს.

შეფასება

კომპონენტი [4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება]	**შეფასება**
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — სატყეო საქმე	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა და მეღვინეობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა და მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მატერიალური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინასებას;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო- კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის დოკუმენტაცია, საბიბლიოთეკო, ლაბორატორიულ და ციფრულ რესურსებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე, ადგილზე ვიზიტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებსა და შესაბამის პერსონალთან ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურა არსებობს, მათ შორის, შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული და ციფრული რესურსები, ბიბლიოთეკის მომსახურება, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომა და ზოგადი ლაბორატორიული საშუალებები.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული აკადემიური რესურსების კოლექცია და სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, თანამედროვე საინფორმაციო რესურსებსა და სხვა სასწავლო მასალებზე, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევას. თუმცა, ასევე განმარტა, რომ ხუთივე პროგრამა ახლადშექმნილია და განხორციელების საწყის ეტაპზე სტუდენტები ძირითადად დაეყრდნობიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებსა და ელექტრონულ კოლექციებს.

შეფასების პროცესმა დაადასტურა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს არ აქვთ ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის ანგარიშები, ან ასეთი ანგარიში მხოლოდ მათ ნაწილს გააჩნია. ვინაიდან ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის მისამართები ხშირად წარმოადგენს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომის წინაპირობას, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტი უზრუნველყოს ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის ანგარიშებითა და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერით, რათა გარანტირებული იყოს სრული წვდომა როგორც საკუთარ საბიბლიოთეკო რესურსებთან, ისე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაში არსებულ დარგობრივ ელექტრონულ რესურსებთან.

გარდა ამისა, სხვა პროგრამებში ჩარიცხულ სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ მათ ნაკლები ინფორმაცია აქვთ მათთვის ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების შესახებ და ხშირად დამოკიდებულნი არიან ცალკეული ლექტორების რეკომენდაციებსა და გაზიარებულ საკითხავ მასალებზე. ამრიგად, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა ხელმისაწვდომი აკადემიური რესურსების შესახებ რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების, მომხმარებლის გზამკვლევებისა და სხვა შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების მეშვეობით.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ყველა სტუდენტი უზრუნველყოს ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის ანგარიშითა და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერით, რათა მათ სრულად ჰქონდეთ წვდომა როგორც უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებზე, ისე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეშვეობით ხელმისაწვდომ დარგობრივ ელექტრონულ რესურსებზე. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება ხელმისაწვდომი აკადემიური რესურსების შესახებ, რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების, მომხმარებლის გზამკვლევებისა და სხვა შესაბამისი მხარდამჭერი მექანიზმების გამოყენებით.	
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე		
საბაკალავრო საგანმანათლებლო		

პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — სატყეო საქმე		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა და მეღვინეობა		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — მევენახეობა და მეღვინეობა (ინგლისურენოვანი)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსი	შეფასება
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა(ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური დაგეგმვა ასახულია პროგრამისა და ინსტიტუციურ ბიუჯეტში. ფინანსური რესურსების განაწილება დაკავშირებულია პროგრამის განხორციელების საჭიროებებთან, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებასთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე მომსახურებასთან, სწავლებისა და სწავლის რესურსებთან, ბიბლიოთეკისა და ელექტრონული მონაცემთა ბაზებთან, მატერიალური რესურსების მოვლა-პატრონობასთან და განვითარებასთან, ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობასთან და სტუდენტთა დახმარების მომსახურებასთან.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული ფინანსური დოკუმენტაციისა და უსდ-ის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, არსებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიზანშეწონილია და, ზოგადად, შეესაბამება პროგრამების საჭიროებებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ბიუჯეტის დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცედურებს, რომელთა მეშვეობითაც პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური საჭიროებები იდენტიფიცირდება და გათვალისწინებულია წლიური დაგეგმვისას. არსებული ფინანსური მექანიზმები ხელს უწყობს პროგრამების სტაბილურ განხორციელებას და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

საჭიროების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე იყენებს დამატებით ფინანსურ მექანიზმებს, მათ შორის ინსტიტუციურ სახსრებს, გრანტებს, პარტნიორობას და გარედან დაფინანსებულ პროექტებს, საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განვითარების მხარდასაჭერად. ამრიგად, პროგრამების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის / ფაკულტეტის / სკოლის ბიუჯეტი;
- დაწესებულების ბიუჯეტი და წლიური ფინანსური გეგმა;
- ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშები.
- სტუდენტებისა და პერსონალის დაფინანსების/მხარდაჭერის რეგულაციები და შიდა მექანიზმები;
- კვლევის დაფინანსების, გრანტების, პარტნიორობის ან გარედან დაფინანსებული პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინტერვიუები უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის/სკოლის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ფინანსურ ოფისთან, ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები		სასურველია, უსდ-მ კვლავ გააძლიეროს პროგრამის სპეციფიკაზე მორგებული ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი და პერიოდულად განახორციელოს ბიუჯეტის შესრულების ანალიზი პროგრამის საჭიროებებთან მიმართებით.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე		
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა		
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა(ინგლისურენოვანი)		

შეფასება

კომპონენტი **4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**	**შეფასება**
პროგრამა 1 (სატყეო საქმე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია

პროგრამა 2 (მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სატყეო საქმე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 5 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;

- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის მხარე (დოქტორანტი, ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა)..

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესები ორგანიზებულია „დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისა“ და „სწავლების ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმის“ შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის დებულება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ცენტრალიზებულად აყალიბებს უწყვეტი გაუმჯობესების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და თანამშრომლობის პრინციპებს. შესაბამისად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ხარისხის უწყვეტი შეფასების ძირითად ინსტრუმენტებად განსაზღვრავს კურიკულუმების, სერვისებისა და რესურსების სისტემურ გამოკითხვებსა და შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს სემესტრულ და ყოველწლიურ გამოკითხვებზე, რაშიც რთავს დაინტერესებულ მხარეებს შეფასების შედეგების გასაანალიზებლად, რათა უზრუნველყოს ეფექტიანი მონიტორინგი და გამოავლინოს განსავითარებელი მიმართულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ პროგრამის შეფასება რეგულარულად განხორციელდება და შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. პროგრამის შეფასება ხაზს უსვამს პროგრამის პერსონალის ინკლუზიურობას, რომლებიც თანამშრომლობენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იზიარებენ პრინციპებსა და მექანიზმებს პროგრამის სათანადო შიდა ხარისხის შეფასების უზრუნველსაყოფად. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაშიც ჩართულნი არიან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის წარმომადგენლები და პროგრამების ხელმძღვანელები. პროგრამებმა გაიარა დარგის ექსპერტების შეფასება და შიდა მიმოხილვა, რომელიც ჩაატარა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისმა, რათა დადასტურებულიყო წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების დაცვა და უზრუნველყოფილიყო შრომის ბაზრისა და ინდუსტრიის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

დაწესებულება ხაზს უსვამს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ექსპერტების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობას. ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი

თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ხელს უწყობს მათ მონაწილეობას კონსტრუქციული შეფასების პროცესში. შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიშს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ერთობლივად ამზადებენ. თუმცა, აღნიშნული პროცესი აჩვენებს, რომ აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, აგრეთვე, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ დაბალი ცნობიერება ხარისხის კულტურის შესახებ; ამასთან, პერსონალი არასაკმარისადაა ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის ფართო ღონისძიებებში — პროგრამის დონეზე არსებული პასუხისმგებლობების მიღმა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ორ დაწესებულებას შორის მიმდინარე გარდამავალ/რეორგანიზაციის პროცესში, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და ჩართულობის გაძლიერება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პრაქტიკის ეფექტიანი ინტეგრაციისა და ხარისხის საერთო კულტურის ჩამოყალიბებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო სესიები, ღია წვდომის რეგულაციები და StudLab-ის მონაცემთა ბაზა გარკვეულწილად ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და კულტურის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას, როგორც ჩანს, ეს პრაქტიკა ძირითადად დამხმარე ინსტრუმენტების ფუნქციას ასრულებს და არა სტრუქტურირებული ჩარჩოს ნაწილის. ცნობიერება და ჩართულობა უფრო მეტად დამოკიდებულია არაფორმალურ კომუნიკაციაზე ან ინდივიდუალურ ინიციატივაზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის თანმიმდევრულობაზე. რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეებისთვის, დაწესებულებამ ოფიციალურად გაწეროს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში ჩართულობის პროცესი. სტრუქტურირებული გაცნობითი მექანიზმის შექმნა - რომელიც ითვალისწინებს რეგულარულ ტრენინგებს ან ციფრულ სახელმძღვანელო მასალებს - ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის საერთო გაგებას, დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასების პროცესებში მათი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაში სისტემატურ მონაწილეობას.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- გამოკითხვის შედეგები და ფორმები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის ზოგადი რჩევები:	რეკომენდებულია, გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ცნობიერება და შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობის სისტემური პროცესი. ამ მიზნით, რეკომენდებულია, დაინერგოს სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის უკეთ გააზრებას, შეფასების პროცესებში მათი როლის გაცნობიერებას და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პროცესში უფრო აქტიურ და სისტემურ ჩართულობას.	
პროგრამა 1 (სატყეო საქმე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		

პროგრამა 3 (სატყეო საქმე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 4 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 5 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სატყეო საქმე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (სატყეო საქმე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 4 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სსუ) გარე ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების მეშვეობით, რომელთაც მართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. დაწესებულება, როგორც წესი, განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს/წინადადებებს, ხოლო მიგნებები/შედეგები ეცნობება პროგრამის პერსონალს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ახალია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. პროგრამის გუნდი გამოთქვამს მზადყოფნას უწყვეტი გაუმჯობესებისა და იმ რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის, რომლებიც ეხება შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად ფასდებოდა გარე ექსპერტების მიერ. პროგრამები შემუშავდა ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილებისა და მოსაზრებების აქტიური გათვალისწინებით. გარე ექსპერტების მიერ განხორციელებული შეფასებები და წარმოდგენილი უკუკავშირი ხაზს უსვამს საქართველოში დარგობრივი ნიშნულით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას, აგრეთვე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო და დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობას. შპს „ღვინის ლაბორატორიის“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის (GAAS), სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის, ღვინის ეროვნული სააგენტოს, არიელის უნივერსიტეტის „სამსონის ოჯახის ყურძნისა და ღვინის კვლევის ცენტრისა“ და ვაგენინგენის უნივერსიტეტისა და კვლევითი ცენტრის ვაგენინგენის სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დარგის ექსპერტებმა პროგრამები დადებითად შეაფასეს, ამასთან, ხაზი გაუსვეს მათ ძლიერ მხარეებსა და კვალიფიციური პროფესიონალების მომზადების მნიშვნელობას, პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების დაბალანსებულ თანაფარდობას.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრის ოქმი
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები:		
პროგრამა 1 (სატყეო საქმე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო		

საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 3 (სატყეო საქმე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 4 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 5 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სატყეო საქმე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 3 (სატყეო საქმე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია
პროგრამა 4 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია

პროგრამა 5 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერული შეფასება

აღწერა და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესებს. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე სუბიექტებს. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვები წარმოადგენს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ცენტრალურ ინსტრუმენტებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით.

შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შრომის ბაზრის ანალიზი პროგრამის დაგეგმვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის. პროგრამის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან პროგრამის განვითარების ჯგუფი და ფაკულტეტის საბჭო, რომლებიც პროგრამაში ასახავენ დარგის მიმდინარე მიღწევებსა და ტენდენციებს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად, სემესტრულად, განიხილავს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის მონიტორინგის ზოგად მექანიზმს წარმოადგენს. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების ძირითად საფუძვლად განსაზღვრულია გაუსის განაწილება.

ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ძირითად საფუძვლად გაუსის (ნორმალური) განაწილების გამოყენებამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ

განსაზღვრული კომპეტენციების ფაქტობრივი მიღწევის საკმარისად ზუსტი შეფასება. შეფასებების განაწილება ასახავს სტუდენტების ფარდობით მოსწრებას კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში და, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის დონის სწავლის შედეგებთან, იგი აუცილებლად არ მიუთითებს, რეალურად მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა პროგრამის დონეზე მოსალოდნელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს პირდაპირი, კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდებით, რომლებიც ზომავს მიღწევას მკაფიოდ განსაზღვრული და გაზომვადი ინდიკატორების მიხედვით და ეს წარმოადგენს აუცილებელ კომპონენტს პროგრამის მოდიფიცირებისა და შემუშავების პროცესში შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე.

დაწესებულებას აქვს პერიოდული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პრაქტიკა წინასწარ განსაზღვრული საკლასო დაკვირვების პრაქტიკის მეშვეობით. სასწავლო პროცესზე დაკვირვებას ახორციელებენ კოლეგები იმავე და/ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან, მათ შორის, ფაკულტეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. შეფასების მიზანია გამოცდილების გაზიარების პლატფორმის შექმნა, ჩატარებული ლექციების ხარისხის, სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის, წინასწარ განსაზღვრული სწავლებისა და სწავლის მეთოდების დაკვირვება, განვითარების ტენდენციების გამოკვეთა და შესაბამისი აქტივობების უზრუნველყოფა.

დაწესებულება უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შედარებას. მევენახეობა და მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამა შედარდა უნგრეთის ტოკაის უნივერსიტეტის მსგავს პროგრამასთან. პროგრამებსა და პროგრამის შემმუშავებელ გუნდებს შორის პარტნიორობამ უზრუნველყო როგორც საერთო მახასიათებლების, ასევე, განვითარების მრავალი შესაძლებლობის იდენტიფიცირება, რამაც დადებითად იმოქმედა პროგრამის შემდგომ შემუშავებაზე. თუმცა, რეკომენდებულია ამ პრაქტიკის შემდგომი სისტემატიზაცია, რომ კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამისთვის განხორციელდეს პროგრამების შედარებითი ანალიზი. ეს ხელს შეუწყობს პროგრამის უფრო თანმიმდევრულ გაუმჯობესებას და პროგრამის შემუშავების პროცესში უახლესი ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებას.

ინდივიდუალური შეფასება — სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლის მიმართაც გაცემულია რეკომენდაცია და/ან რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სატყეო საქმე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა); პროგრამა 4 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა); პროგრამა 5 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

მაგისტრანტები კვლევითი კომპონენტის განხორციელებას ძირითადად ადმინისტრაციასთან არაფორმალური და ინდივიდუალური შეხვედრების მეშვეობით აფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირი კომუნიკაციისა და დაუყოვნებლივი უკუკავშირის საშუალებას იძლევა, არ არსებობს სტრუქტურირებული მექანიზმი, რომელიც სისტემატურად შეაგროვებდა სტუდენტებისგან უკუკავშირს ზედამხედველობის პროცესთან ან კვლევის მენტორობის ხარისხთან დაკავშირებით. როგორც უკვე განხილულია 3.2 პუნქტში, კვლევითი კომპონენტისა და ზედამხედველობის პროცესის შეფასების სტრუქტურირებული მექანიზმების დანერგვა დაეხმარება პროგრამის გუნდებს უზრუნველყონ უკუკავშირის სისტემატური შეგროვება, გაუმჯობესონ ზედამხედველობის ხარისხი და შეუფერხებლად განახორციელონ პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- გამოკითხვის შედეგები და ფორმები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაცები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები	რეკომენდებულია, განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი სამიზნე ნიშნულები და გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგი პროგრამის დონეზე, რაც გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატურ	სასურველია, კიდევ უფრო სისტემური ხასიათი მიეცეს საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების გაანალიზებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარების პროცესში თანამედროვე ცოდნისა და

	შეფასებას, პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, მისი უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით.	საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებას.
პროგრამა 1 (სატყეო საქმე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 2 (მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 3 (სატყეო საქმე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 4 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		
პროგრამა 5 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)		

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შეფასება**
პროგრამა 1 (სატყეო საქმე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (მევენახეობა და მეღვინეობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (სატყეო საქმე, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 4 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 (მევენახეობა და მეღვინეობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან